



ISSN 1987-7528



ფასი 5 ლარი

თბილისი

№ 170 მაისი 2016

1737  
2016

დაბრუნდებომა

25

წელიწადი



# უკუ მოჩილაქა

# ასი მეცხრე გვიანა სახეცნობით შოხს

შეიძინეთ  
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“  
პირველი წიგნი



გამომცემლობა „არტანუჯი“



ლიბრალი



ლიბერალი

№ 170 მაისი 2016

**ჟურნალის რედაქტორი**  
ზურაბ ვარდიაშვილი

**ვიცე-რედაქტორი**  
ლიკა ზაკაშვილი

**ახალი ამბავის რედაქტორი**  
დათო გამოსონია

**ფოტორედაქტორი**  
ლევან ხერხეულიძე

**ჟურნალისტები**

ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ზაკაშვილი, ქეთევან ლვედაშვილი, თათია ხალიანი, ეკა მდალაძე, სოფო აფციაური, თეი კანაშვილი, დათო ფარულავა, ნათია ამირანაშვილი, დათო გამოსონია, სალომე გორგოძე

**კონსტიტუციონერი**

ლევან ახალაია, დავით ბუხრიკიძე, გიორგი კეკელიძე, გიო ახვლედიანი, ლევან ბერძენიშვილი, ირაკლი სოლომონიშვილი, დავით ფორცხაღვაძე

**ჟურნალის დიზაინერი**

თორნიკე ლორთქიფანიძე

**ჟურნალის და ნუსაგაფის რედაქტორ-სტილისტი/კორექტორი**  
ნინო კალატოზიშვილი

**თემატური რედაქტორ-სტილისტი/კორექტორი**  
ნათია ორმოცაძე

**პრინციპალური მენეჯერი**  
ქეთევან ქავთარაძე

**ადმინისტრაციული მენეჯერი**  
მზია კუბლაშვილი

**დისტრიბუტორი**  
გიგი ნაზარაშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 247 02 46

**გამომცემელი:**

შპს „ლიბერალი“.  
მისამართი: თბილისი, რუსთაველის ქ. 50. ტელ.: (995 32) 2470246  
ელ-ფოსტა: info@liberali.ge  
ვებგვერდი: www.liberali.ge  
საავტორო უფლებები დაცულია.  
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

**გაყვანა:**

შპს „სეზანი“.  
მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოცემის თვეში ერთხელ, ყოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.

რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.

www.liberali.ge

## დანიშნულება

დამოუკიდებელი საქართველო 25 წლისაა. არც ძალიან ბევრი წელია გასული იმისათვის, რომ საკუთარი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებს თამამად ვეყრდნობოდეთ და არც ისე ცოტა, რომ ვერ შევძლოთ დასკვნების გამოტანა, კითხვების დასმა და პასუხის გაცემა. გაანალიზება მოვლენებისა, რომლებმაც ისეთი ინტენსივობით ჩაიქროლა ჩვენს თვალწინ, რომ როგორც ჩვენთან ინტერვიუში ივლიანე ხაინდრავა ამბობს – „რომელიმე პატიოსანი შევედობის რამდენიმე თაობა დასჭირდებოდა“.

ხელისუფლებების უსისხლო თუ სისხლიანი ცვლილებები. ომები, პერმანენტული და მძაფრი საპროტესტო გამოსვლები, სოციალური სიდუხჭირე, მასობრივი სიღატაკე, დამოკლეს მახვილივით ჩვენს თავზე დაკიდებული აგრესორი მეზობელი... ნამდვილად არ არის სასურველი პირობები დემოკრატიის, სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფოებრიობის განსავითარებლად.

„ლიბერალის“ წინამდებარე ნომერი მთავარ თემას სწორედ „დამოუკიდებლობის 25 წელიწადს“ უთმობს. გვინდა, მკითხველთან ერთად კიდევ ერთხელ დავსვათ კითხვები და შევეცადოთ, ვუპასუხოთ მათ – საიდან დავიწყეთ, რა გზა გამოვიარეთ და სად ვიმყოფებით, რა შეცდომები დაგუშვით, რა გადაკეთებთ სწორად, და სად შეგვი-



ძლია ვიყოთ მაშინ, როდესაც „გაივლის კიდევ ოცდახუთი წელიწადი“...

ის, რაზეც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობა თანხმდება და რასაც ადასტურებს მრავალი კვლევა და გამოკითხვა, არის შეუქცევადი სურვილი და სწრაფვა საქართველოს ისტორიული კურსის, დასავლეთის მიმართულებით. მოცემულ მომენტში ვიმყოფებით ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში, სადაც შეცდომების უფლება მეტისმეტი ფუფუნება იქნება ჩვენთვის, ამიტომ ასი ყურით, ასი თვალთ და გაასმაგებული ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ ხელისუფლების ნაბიჯებს, მათ რიტორიკას თუ ქცევას; დავაკვირდეთ და რაც მთავარია, ვაგრძობინოთ, რაც არ მოგვწონს, რაც მიგვაჩნია, რომ ჩვენს საერთო სამშობლოს ინტერესებს სცდება. თქვენს მიერ გადაშლილი ნომრის, მთავარი თემის დანიშნულებაც სწორედ ეს არის.

ზურაბ ვარდიაშვილი, ჟურნალის რედაქტორი



საქართველოს პარლამენტის  
ქრონიკული გიგლიოთიქა

- 04 **ავტორები**  
**მიმოხილვა**
- 06 **House of Trump**  
ავტორი: ლევან ახალაია  
**ინტერვიუ**
- 12 დამოუკიდებლობის 25 წელიწადი  
ავტორი: ზურაბ ვარდიაშვილი  
**მთავარი თემა**
- 16 დამოუკიდებლობის დღე, ანუ  
„მეხსიერების ადგილი“  
ავტორი: დავით ბუხრიკიძე  
**პოლიტიკა**
- 30 ბიზნესის გამსხვილებაზე  
ორიენტირებული საგადასახადო  
სისტემა  
ავტორი: დათო გამისონია  
**სამართალი**
- 36 სასჯელი ან მკურნალობა  
ავტორი: ქეთევან ლვედაშვილი  
**რეპორტაჟი**
- 42 ხედი ფანჯრიდან – „ცოფის  
გორები“  
ავტორები: სოფო აფციაური, ბასტი  
მგალობლიშვილი  
**განათლება**
- 50 მშობლები სასკოლო ცხოვრებაში  
ავტორი: სალომე გორგოძე  
**ფოტოპროექტი**
- 54 საბჭოთა ორიგამი  
ავტორი: ირაკლი სოლომონიშვილი  
**სამყარო**
- 68 ახალი სამეცნიერო რევოლუციის  
გარიჟრაჟზე  
ავტორი: დავით ფირცხალავა  
**ბიბლიოთეკა**
- 72 წისლიტყაოსანი?  
ავტორი: გიორგი კეკელიძე
- 76 ორი სამოთხე  
ავტორი: ლევან ბერძენიშვილი  
**კულტურა**
- 80 ცეკვა თუ სიტყვა? საკითხავი აი,  
ეს არის  
ავტორი: დავით ბუხრიკიძე  
**სპორტი**
- 83 არაჩვეულებრივი ჩვეულებრივი  
ავტორი: გიო ახვლედიანი




## ჩაქოხტაჟი

### ხედი ფანჯრიდან – „ცოფის გორები“

ტყიბულის შესასვლელში, ბარათაშვილის ქუჩის მარჯვენა მხარეს წლებია, ქვანახშირის გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების გორები დგას. „ჯი-აი-ჯი ჯგუფი“, რომელიც ქალაქში შახტებს ამუშავებს, ნარჩენს იქვე, მეორადი გადამუშავების მიზნით აგროვებს. დღითი დღე ეს გორები მაღლდება და ფართოვდება. მისგან სულ რაღაც 100 მეტრში დასახლებული პუნქტია, იქვე – საბავშვო სკვერი და კორპუსები. აქაურები ნარჩენებს „ცოფის გორებს“ უწოდებენ. რადგან ისინი ატმოსფერულ ჰაერს, ნიდაგსა და წყალს აბინძურებს.




სოფო აფციაური, ბასტი მგალობლიშვილი

 სოფო აფციაური, ბასტი მგალობლიშვილი  
83.42

სამაჩთაი

### სასჯელი ან მკურნალობა


ალბათ, ერთხელ მაინც გსმენიათ ისეთი შემთხვევის შესახებ, როცა რაიმე საქმეში ბრალდებული პირი სასამართლომ შეურაცხადად ცნო. როგორ ისმება ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზი და რა ბედი ეწევთ იმ ადამიანებს, ვისაც სასამართლო ციხის ნაცვლად იძულებითი მკურნალობისთვის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გზავნის, რა ხდება მაშინ, როცა ფსიქიკური პრობლემები უკვე მსჯავრდადებულ ადამიანს აღმოაჩნდება – ამ საკითხებს საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს. თუმცა, ადამიანური და მატერიალური რესურსის სიმწირის გამო, კანონმდებლობა ეფექტიანად ვერ აღსრულდება.

 ქეთევან ლვედაშვილი  
33.36

მიმოხილვა

### House of Trump


როდესაც აშშ-ში წინასაარჩევნო მართონში ფავორიტებს შორის მილიარდერი დონალდ ტრამპია, შეიძლება ითქვას, რომ რეალურ და წარმოსახვით სამყაროს შორის ზღვარის გაღვლეა სულ უფრო ძირს. ფაქტია, რომ რესპუბლიკური პარტიის ყველაზე სკანდალურმა კანდიდატმა უკვე შეძლო 20-ზე მეტ შტატში გამართულ პრაიმერისში გამარჯვება. 19 აპრილს მშობლიურ ნიუ იორკში მიღწეული წარმატების შემდეგ ტრამპის შანსი, გახდეს „რესპუბლიკური პარტიის“ კანდიდატი, ერთიორად გაიზარდა, ინდიანაში გამარჯვების შემდეგ კი „სპილოები“, ფაქტობრივად, ალტერნატივის გარეშე დარჩნენ.

 ლევან ახალაია  
33.06

სამაჩთაი

### ახალი სამეცნიერო რევოლუციის გარიჟრაჟზე


ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის თანამედროვე ინკარნაციაში საფუძველი ჩაეყარა 70-იან წლებში. სწორედ ამ პერიოდში, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, სტივენ ვაინბერგმა, შელდონ გლუშოვმა და აბდუს სალამმა შექმნეს სტრუქტურული მათემატიკური სქემა.

 დავით ფირცხალავა  
33.68

პოლიტიკა

### ბიზნესის გამსხვილებაზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემა

ბიზნესმენმა იცის, რომ მის საწარმოში ნებისმიერ დროს შეიძლება გამოჩნდეს საგადასახადო ორგანოს ინსპექტორი, ჩაატაროს რევიზია, ინვენტარიზაცია, საკონტროლო შესყიდვა და არც არის ვალდებული მფლობელს მოსამართლის ბრძანება წარუდგინოს.


 დათო გამისონია  
33.30



მთავარი თემა

### დამოუკიდებლობის დღე, ანუ „მეხსიერების ადგილი“

დისიდენტური ვნებებითა და მიტინგებით „გავარჯერებული“ საქართველო საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკათა შორის აღმოჩნდა (ძირითადად, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი აქტიურობდნენ), რომლებმაც პირველებმა გადაადგეს ნაბიჯი დამოუკიდებლობისაკენ. ამ პროცესს მეტწილად ხელი შეუწყო 1989 წლის აპრილის მოვლენებმაც, როდესაც 9 აპრილს, გამთენიისას საბჭოთა ჯარმა სასტიკად დაარბია მშვიდობიანი მანიფესტაცია მთავრობის სახლთან. შეიძლება ითქვას, რომ 1989 წლის 9 აპრილის „სისხლიანმა მისტერიამ“ საბჭოთა საქართველოს არსებობას საბოლოოდ დაუსვა წერტილი: 1990 წლის 28 ოქტომბერს გამართული არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“.

 დავით ბუზრიკიძე  
33.16



ლევან ბერძენიშვილი  
ორი სამოთხე

„ვერგილიუსი არ დაბრუნდება, დანტე, ეს მე ვარ, ბეატრიჩე, შემომხედე და მითხარი, როგორ მოხვდი აქ?“ – ბეატრიჩეს ტონი მკაცრი და მრისხანეა. ამ დროს გაისმის ხმა – „რატომ ხარ ასე მკაცრი ადამიანთან, კაცთან, რომელმაც ცოცხლად გამოაღწია ჯოჯოხეთში, გამოიარა სალხინებელში და შენ სანსახავად მოსულა?“



გიორგი კეკელიძე  
ნისლიტყაოსანი?

მონოგრაფიის მეორე ნაწილი, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ფლექტერისა და ბომონტის ერთ-ერთ ნაწარმოებს, „ფილასტერსაც“ ეხება. ეს პიესა დაახლოებით იმ პერიოდს ეკუთვნის, როცა „მეფე და არა მეფე“ დაიდგა და ორივე მათგანმა, ინგლისელი კრიტიკოსების შენიშვნით, ბრიტანულ ლიტერატურაში რომანტიკულ-ჰეროიკული თემატიკა დააბრუნა.




გიორგი ახვლედიანი  
არაჩვეულებრივი  
ჩვეულებრივი

ახლა ამბობენ, რომ კიდევ კარგი მაჰრეზი ბიჭობაში აკადემიაში ვერ მოხვდაო. ფრანგულ აკადემიაში მკაცრი დისციპლინა და ერთიანი წესებია. იქ ბევრი ტექნიკური ბიჭი ფუჭდება, რადგან მზადება სტანდარტულია და მოზარდს ხშირად უწევს თამაშის იმ სტილზე, უარის თქმას, რომელიც ბუნებრივია მისთვის.



მოცარტისა და  
ჯონ კეიჯის  
ნაწარმოებები  
განსაზღვრავს  
არა მხოლოდ  
წარმოდგენის  
ტემპო-რიტმს,  
არამედ  
დღევანდლობასთან  
ხილულ კავშირსაც.



დავით ბუზრიკიძე  
ცეკვა თუ სიტყვა?  
საკითხავი აი, ეს არის

რუსთაველის თეატრის ახალგაზრდა თაობის მსახიობები – ლელა ახალაია, ნათია კვაშალი, ნინო მაყაშვილი, რუსუდან მაყაშვილი, გაგი სვანიძე, ქეთი სვანიძე, ბექა სონღულაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, გეგა ჩხაიძე, ქეთი ხიტირი და ლაშა ჯუხარაშვილი მარიამ ალექსიძის სადა, უბრალო, მაგრამ გამომსახველ ქორეოგრაფიას დრამატულ მღელვარებას სძენენ.



ბლოგი

ვაკო ნაცვლიშვილი






მიშიზმის მეორე ტალღა, მუმეების დაბრუნება

განვითარებული მიშიზმი დამრგვალებული ფორმით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ იბადება, უფრო ზუსტად, არჩევნების ღამეს, როდესაც პირველადი შედეგების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება. მყისიერად იბადება; ოხერი გვამის გატანას ვერ ვასწრებთ,

TEDxTbilisi 2016 თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარდა.



# TEDxTbilisi



ვლადიმერ შოშვილის და ანდრო ღვებუაძის ფოტოები

# House of Trump

ლევან ახალაია

თებერვლის ბოლოს ვაშინგტონის ეროვნული გალერეიდან აშშ-ის პირველი პრეზიდენტის, ჯორჯ ვაშინგტონის, პორტრეტი გაიტანეს. გილბერტ სტიუარტის 1976 წელს შესრულებულ ცნობილ ნამუშევარს ექსპერტ-რესტავრატორები სწავლობენ. პრეზიდენტების პორტრეტების გალერეაში ვაშინგტონი, ფრენსის ანდრეუდმა ჩაანაცვალა. პოპულარულ ამერიკულ სერიალ „ბანქოს სახლში“ კევინ სპეისის მიერ განსახიერებული პერსონაჟის პორტრეტი, სატელევიზიო შოუს სარეკლამო კამპანიის შემადგენელი ნაწილი იყო. თუმცა მაშინ, როდესაც აშშ-ში წინასაარჩევნო მარათონში ფავორიტებს შორის მილიარდერი დონალდ ტრამპია, შეიძლება ითქვას, რომ რეალურ და წარმოსახვით სამყაროს შორის ზღვარის გავლება სულ უფრო ჭირს. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ „რესპუბლიკური პარტიის“ ყველაზე სკანდალურმა კანდიდატმა უკვე შეძლო 20-ზე მეტ შტატში გამართულ პრაიმერისში გამარჯვება. 19 აპრილს მშობლიურ ნიუ იორკში მიღწეული წარმატების შემდეგ ტრამპის შანსი გახდეს „რესპუბლიკური პარტიის“ კანდიდატი, ერთიორად გაიზარდა, ინდიანაში გამარჯვების შემდეგ კი „სპილოები“, ფაქტობრივად, ალტერნატივის გარეშე დარჩნენ. თუმცა, ყველაფერი ჯერ გადაწყვეტილი არ არის.





## ტრამპის „ტრიუმფალური“ მარათონი

69 წლის მილიარდერი დონალდ ჯონ ტრამპი უკვე კარგა ხანია, ამერიკული პოპკულტურის უცვლელი პერსონაჟია. კომპანია „Trump Organisation-ის“ პრეზიდენტს, სატელევიზო შოუს პროდიუსერს, ნამყვანსა და რამდენიმე წიგნის ავტორს პოლიციუდის დიდების ხეივანში საკუთარი ვარსკვლავიც კი აქვს. ტრამპი რამდენჯერმე იყო ნომინირებული „ემიზე“; თავისივე თავი განასახიერა ცნობილ პოლიციუდურ კომედიაში „მარტო სახლში 2“; გამოჩნდა რამდენიმე ტელესერიალში. მას ეკუთვნოდა სილამაზის კონკურს „მის სამყაროს“ ორგანიზატორი კომპანია. „ტრამპის“ სახელს ატარებს ყველაფერი – გოლფის სათამაშო მოედნებიდან დაწყებული, ხორცის სტიკებით დასრულებული.

მილიარდერის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ ბიოგრაფიას თუ ვენდობით, შეიძლება ითქვას, რომ ტრამპი „ამერიკული ოცნების“ განსახიერებაა – ბიზნესმენი, რომელმაც ყველაფერი თავისი შრომით მიაღწია.

სინამდვილეში, მესუთუ ავენიუზე მდებარე ცნობილი ცათამბჯენის „ტრამპ თაუერის“ მფლობელი, სამშენებლო ბიზნესში მამის წყალობით მოხვდა. ფრედ ტრამპმა სახლების შენება ნიუ იორკის დასახლება ქუინსში ჯერ კიდევ 1920-იანი წლებიდან დაიწყო. მეორე მსოფლიო ომის დროს მისმა კომპანიამ აღმოსავლეთ სანაპიროზე ამერიკელი

სამხედროებისთვის ყაზარმები, ომის დასრულების შემდეგ კი კონი აილენდზე ვეტერანებისთვის განკუთვნილი სახლები ააშენა. საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელი პროექტის გამო, ტრამპ უფროსს კანონის დარღვევაში ადანაშაულებდნენ. კერძოდ, ამბობდნენ, რომ მან მშენებლობის რეალურ ფასთან შედარებით გაცილებით დიდი თანხა მიიღო. სკანდალის გამო, ის სენატში საკომიტეტო მოსმენაზეც კი დაიბარეს. დონალდ ტრამპი ფრედ ტრამპის მეოთხე შვილია. როგორც თავადაც აღიარებს, მან მამისგან „1 მილიონი დოლარი ისესხა“ და ბრუკლინის ნაცვლად მშენებლობა მანჰეტენზე დაიწყო. ეკონომისტების გაანგარიშებით, მაშინდელი 1 მილიონი დღეს დაახლოებით 6 მილიონს უდრის. ჟურნალი „ფორბსი“ დონალდ ტრამპის ქონებას 4,5 მილიარდად აფასებს, თუმცა თავად ბიზნესმენი მუდმივად ცდილობს, დაამტკიცოს, რომ დაახლოებით 10 მილიარდს ფლობს.

დონალდ ტრამპის, როგორც პოლიტიკოსის, სიმპათიების გამოცნობა საკმაოდ რთულია. წლების განმავლობაში მისი პოზიცია რადიკალურად იცვლებოდა. სხვადასხვა დროს ის იყო, როგორც დემოკრატების, ისე რესპუბლიკელების მხარდამჭერი. როგორც „ვაშინგტონ პოსტი“ ჯერ კიდევ 2011 წელს წერდა, ბიზნესმენი ორივე პარტიის წარმომადგენლებს აფინანსებდა. მათ შორის – სენატში

უმრავლესობის ლიდერ ჰარი რეიდს, ასევე ნარმომადგენელთა პალატის უმცირესობის სპიკერ ნენსი პელოსის და მის შესაძლო კონკურენტ ჰილარი კლინტონსაც კი.

პრეზიდენტად კენჭისყრის იდეა ტრამპს პირველად 1988 წელს გაუჩნდა. ის ანალოგიური განცხადებებით გამოვიდა ასევე 2004 და 2012 წელსაც. ცნობილია, რომ 2000 წელს ტრამპი პრეზიდენტის კანდიდატობის მსურველად დარეგისტრირდა კიდევ. მაშინ ის „რეფორმისტთა პარტიის“ სახელით აპირებდა კენჭისყრას, თუმცა შიდაპარტიული კონფლიქტების გამო, გადაიფიქრა.

15 წლის შემდეგ, როდესაც „ტრამპ თაუერში“ მდებარე შტაბ-ბინაში დონალდ ტრამპმა აშშ-ის მოქალაქეებს და მთელ მსოფლიოს გააცნო გადანყევტილება, რომ 2016 წელს საარჩევნო მარათონში ერთვება, ბევრს ეს კვლავ ხუმრობა ეგონა. თუმცა, როდესაც „საუკეთესო აუტსაიდერი“ ფავორიტად გადაიქცა, პირველი, ვინც ამერიკულ მედიას გაახსენდა, ეს ტრამპის ყოფილი თანაპარტიელი და მინესოტის ყოფილი გუბერნატორი ჯესი ვენტურა იყო. ალბათ, ბევრს ახსოვს საქართველოში 90-იან წლებში პოპულარული ამერიკული მძაფრსიუჟეტიანი ფილმი „მტაცებელი“. კიდევ ერთ მსახიობ

პოლიტიკოსს, არნოლდ შვარცენგერს აქ პარტინიორობას სწორედ ჯესი ვენტურა უწევს, რომელიც ერთ-ერთი სპეცრაზმელის როლს ასრულებს. პროფესიონალი ვრესტლერი და რეალითი შოუების ვარსკვლავი 1998 წელს ყველასათვის მოულოდნელად გუბერნატორად აირჩიეს. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ვენტურასთან ტრამპს მხოლოდ ვრესტლინგის სიყვარული აკავშირებს. ყველა სხვა თემაზე მათი შეხედულებები რადიკალურად განსხვავებულია. თუ ვენტურა გეინყვილების ქორწინებას უჭერდა მხარს და ნარკოტიკების ლეგალიზაციაზეც კი მსჯელობდა, ტრამპის განცხადებები ქალებსა და იმიგრანტებზე, რბილად რომ ვთქვათ, არც ისე პროგრესულია.

მიუხედავად ამისა, როგორც აღმოჩნდა, მილიარდერის სიტყვით გამოსვლას მისი მონინალმდეგებიც კი გატაცებით უსმენენ. მის შეცდომებს ყველაზე ხმამაღლა დასცინიან. პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის ყველაზე ხშირად სწორედ ტრამპთან დაკავშირებულ სიახლეებს ეძებენ ინტერნეტში. ამიტომ ის მედიას უყვარს. უფრო მართალი იქნება, თუ ვიტყვით, რომ მედიაკომპანიებს უყვართ ის რეიტინგი და შესაბამისად შემოსავალი, რომელიც ტრამპის ეკრანზე გამოჩენას მოაქვს.

## „ტრამპის ამერიკა“

მექსიკის საზღვარზე კედლის აშენება, მუსლიმებისთვის აშშ-ში ჩასვლის აკრძალვა, ტერორიზმში ეჭვმიტანილების დაკითხვისას სასტიკი მეთოდების გამოყენება, 11 მილიონზე მეტი არალეგალი მიგრანტის დეპორტაცია – ეს მხოლოდ ნაწილია იმ საკამათო დაპირებებისა, რომელიც დონალდ ტრამპმა წინასაარჩევნო მარათონის მიმდინარეობისას უხვად დაარიგა. მარტის ბოლოს მილიარდერმა საზოგადოებას თავისი საგარეო პოლიტიკური კურსი და მასზე მომუშავე გუნდი გააცნო, რომელსაც ასევე არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ – ასეთია ტრამპის სლოგანი, რომელიც სულაც არ ნიშნავს იზოლაციონიზმს და პირიქით საზღვარგარეთ აშშ-ის ინტერესების უკეთ დაცვას ისახავს მიზნად. როგორც „ნიუ-იორკ თაიმსთან“ ინტერვიუში მილიარდერი ამბობს, ბევრი სახელმწიფო, და მათ შორის ვაშინგტონის მოკავშირეებიც, დღეს აშშ-ის ხარჯზე ცხოვრობენ, სამაგიერ

ოდ კი არაფერს აკეთებენ. ის არ გამოირიცხავს იაპონიიდან და სამხრეთ კორეიდან ამერიკული სამხედრო კონტინგენტის გაყვანას, ასევე განიხილავს საუდის არაბეთისგან ნავთობის შეძენაზე შეზღუდვის დანესებას, იმ შემთხვევაში, თუ ერთადი „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ჯარის გამოყვანაზე უარს იტყვის. ნიუიორკერმა ბიზნესმენმა გააკრიტიკა „ნატოც“ და მას დრომოჭმული ალიანსი უწოდა, რომელიც ტერორიზმთან ბრძოლაში გამოუსადეგარია. მთავარი აქცენტი მან ამ შემთხვევაშიც ფულზე გააკეთა. ტრამპი მიიჩნევს, რომ აშშ-ს „მსოფლიო პოლიციელის“ ფუნქციის შესრულება საკმაოდ ძვირი უჯდება, დახარჯული თანხით კი სასურველ შედეგი არა და არ დადგა. ალბათ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ მისი ასეთი განცხადებების შემდეგ ბრიტანული კომპანია „YouGov-ის“ მიერ წარმოებული სოციოლოგიური კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ დიდი ოცეულის წევრი ქვეყ




ნებიდან, რუსეთი ერთადერთი სახელმწიფოა, რომლის მოქალაქეებსაც აშშ-ის პრეზიდენტად დონალდ ტრამპის ხილვა სურთ. სალაპარაკო გახდა იმ გუნდის შემადგენლობაც, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტობის საგარეუდო კანდიდატის საგარეო პოლიტიკურ პროგრამაზე მუშაობდა. მათ შორის თვალშისაცემია 44 წლის ამერიკელი ბანკირი კარტერ პეიჯი, რომელიც 2004-2005 წლებში მოსკოვში ჩავიდა და რუსეთის სახელმწიფო კომპანია „გაზპრომთან“ თანამშრომლობდა. ბლუმბერგთან საუბრისას პეიჯმა თავად დაადასტურა, რომ ყირიმის უკანონო ანექსიის შემდეგ რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გამო, მისი პირადი ბიზნესიც დაზარალდა.

სადავოა ტრამპის სხვა მოსაზრებებიც. დაწყებული აშშ-ის ეკონომიკის განვითარებიდან და დასრულებული კლიმატის ცვლილებებით. მაგალითად, მისი ერთ-ერთი ინიციატივა წელიწადში 25 ათასი დოლარის ოდენობით შემოსავლის მქონე მოქალაქეთათვის საშემოსავლო გადასახადის საერთოდ გაუქმებას ითვალისწინებს. რაც შეეხება გლობალურ დათბობას, მას მეცნიერების არ სჯერა და მიიჩნევს, რომ ამის გამო ამერიკული კომპანიებისთვის დამატებითი შეზღუდვების და-

წესება მსოფლიო ბაზარზე მათ კონკურენტუნარიანობას შეამცირებს.

როგორც ტრამპი ამტკიცებს აშშ ყველაზე წარმატებული და „დიადი“ 40-იანების ბოლოს, 50-იანების დასაწყისში იყო. „მაშინ ჩვენ ყველა პატივს გვცემდა, ახლახან გავიმარჯვეთ ომში და ვაკეთებდით იმ საქმეს, რომელიც უნდა გვეკეთებინა“. – აცხადებს მილიარდერი. რა მოხდება სინამდვილეში, თუ მილიარდერი ოვალურ კაბინეტში მოხვდება, რთული გამოსაცნობია. მით უმეტეს ტრამპი, ისევე როგორც აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი, ხშირად ამბობს, რომ მოსწონს არაპროგნოზირებადი პოლიტიკოსები. ერთიც ნათელია, მისი იდეების ხორცშესხმას უმეტეს შემთხვევაში კონგრესის თანხმობა დასჭირდება. ყველაზე მთავარი კი მაინც ის არის, რომ აშშ სამართლებრივი სახელმწიფოა, სადაც ხელისუფლების შტოთა შორის ძალაუფლების ბალანსი დაცულია, რაც პრეზიდენტის დიქტატორად გარდაქმნას, პრაქტიკულად, გამორიცხავს. ამ უკანასკნელ მოსაზრებაზე, როგორც ჩანს, ტრამპის მომხრეები და მონინალდმდეგეებიც თანხმდებიან.




### „რესპუბლიკელების პოლიტიკა“


დონალდ ტრამპი „რესპუბლიკური პარტიის“ მმართველი წრეების წარმომადგენლებს არ მისწონთ. ეს არავითარ გამონაძვანა ნინსაარჩევნო მართონის მიმდინარეობისას და მდინამივ ამაზე მუდმივად საუბრობენ. ნიუ იორკში გამართული პრეზიდენტის შემდეგ მილიარდერის ორმა კონკურენტმა უკვე ლოდ განაცხადა, რომ შეთანხმებული სტრატეგიით ამორებენ მართონის გაგრძელებას. ამის მიზანი კი ტრამპის ზღინად ჩამოცილებაა.

ამას ემატება „შეი პირი“. კლევითი ცენტრის Kantar media/CMAG-ის მონაცემებით, 2016 წლის საარჩევნო კამპანიის დროს ნეგატიურ რეკლამაზე გამოყოფილი რესურსების დიდი ნაწილი დონალდ ტრამპის წინააღმდეგ იყო მიმართული. საუბარია დაახლოებით 70 მილიონ დოლარზე. მილიარდერის რეპუტაციის შელახვაში თანხა ოპონენტთა „დემოკრატიული პარტიის“ წევრების გარდა, სამმა რესპუბლიკელმაც დაიბანდა. განსაკუთრებით აგრესულ კამპანიას ატარებს პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი მიტ რომნი, რომელიც 2012 წელს ბარაკ ობამასთან ბრძოლაში დამარცხდა. ტრამპის წინააღმდეგო კამპანია მასმეტურ ხასიათს ატარებს და ამჟამი დარწმუნებული, თუ ამერიკულ და საერთაშორისო მედიას გადაეღებთ თვალს. მილიარდერის პერსონა და მისი განცხადებები კი ამ საქმეში დახლოებულმა საციკლის-სტაის შესაძლებლობებს აძლევს. ფანტაზიას გასაქანი მისცენ.

თუმცა, როგორც ჩანს, ტრამპის საარჩევნო შტაბის წევრებმა საკმაოდ იოლად მოახერხეს რესპუბლიკელების შეთქმულების“ სათვისოდ გამოყენება. ნიუ იორკული ბიზნესმენი თვის გამოსვლებში, კარგა ხანია, აკრიტიკებს „რესპუბლიკური პარტიის“ საარჩევნო სისტემებს და მას „გაყვალბებულს“ უწოდებს. ბოლო გა-



დანვეცილებით კი, კონკურენტებმა, როგორც იტყვიან, ცუდებს ნათი დაასეს. ამან შედეგი გამოიღო 3 მიასის, როდესაც რინდინამი ტრამპის შტაბში დამაჯერებელი გამარჯვება იხივთეს, ხოლო მისი კონკურენტები მართონის გამოეთიშნენ. ასე რომ, პარტიის იმიჯზე მზრუნველები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. „რესპუბლიკელების“ ნაწილი, მათ შორის მამა-შვილი ბუშები, ასევე წარმომადგენელი ალალტის სპიკერი პოლ რიანი და პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი მიტ რომნი უარს ამბობენ დონალდ ტრამპის



**კვლევითი ცენტრის ვანტარ მედია/CMAG-ის მონაცემებით, 2016 წლის საარჩევნო კამპანიის დროს ნეგატიურ რეკლამაზე გამოყოფილი რესურსების დიდი ნაწილი დონალდ ტრამპის წინააღმდეგ იყო მიმართული. საუბარია დაახლოებით 70 მილიონ დოლარზე. მილიარდერის რეპუტაციის შელახვაში თანხა ოპონენტთა „დემოკრატიული პარტიის“ წევრების გარდა, სამმა „რესპუბლიკელმაც“ დაიბანდა.**

მხარდაცირაზე“ კონკრეტულ რესურსებს სხვა დამოუკიდებელი კანდიდატის თქმვის ინიციატივით გამოდის. ზოგიერთი კი არაორასწროვნად იმსაც მინანიშნებს, რომ შზად არის, მილიარდერის შესაზრებლად დემოკრატიის კანდიდატს დაუდგეს გვერდი. არიან ისეთებიც, რომლებიც ფორტირენ, რომ ტრამპი შეძლებს პარტიის „განადგობას“ და ვართიანებას“, თუმცა მილიარდერის რატორიკის შეცვლას სთხოვს.

ცხადია, რომ ზაფხულში დაგეგმილ ერთნულ ყროლობაზე პარტიის მმართველი წრეების წარმომადგენლებს რთული არჩევანი მოუწევს. მათ უნდა გადაწყვიტონ, რა უფრო საზიანო იქნება, დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენა, თუ ამომრჩეველთა წების უგულებელყოფა. რაც შეეხება ტრამპის ამომრჩეველებს, დიდი ალბათობით თავადც არ იციან, რა სურთ. მათ უკმაყოფილების ბეჭერ მიზეზი აქვს. დანებებულ სამუშაო ადგილების სიმცირით, დასრულებული შაის მომართობის“ წარუმატებლობით, რჩება შთაბეჭდილება, რომ ერთადერთი იდეა, რის გამოქმეც ისინი ერთიანდებიან არის ბრძოლა იმ პოლიტიკოსების წინააღმდეგ, რომლებიც ბოლო წლებში მართავენ ქვეყნას და მათი აზრით, მხოლოდ საკუთარ ჯიბეზე ზრუნავენ. ეს იდეა იმდენად პოპულარული გამოდგა, რომ მილიარდერის შიდაპარტიულ არჩევნებში გამარჯვება მოუტანს. როგორც სერიალ „პანკის სახლის“ პერსონაჟი, აშშ-ის პრეზიდენტი ფრენკ ანდერუდელ ამბობს, პოლიტიკა უკვე დიდი ხანია, აღარ არის თვებრი, ის შუშობიწენსია. ასე რომ, მიიღი, მოვანეთი ქველავე დიდი მოუქალქი“. დონალდ ტრამპის წარმატების შემსურე არ არის გამორიცხებული ამ სტატის მთავარი გამო აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი გახდეს. გაითვალისწინეთ, რომ ეს ჯერ კიდევ 2000 წელს რინანსარმეტველეს „სიმპოსონის“ სცენარისტებმა ჩვენ ეს ისღა დაგვარწმინა, იმდენ ვიჭონით, რომ ტრადიციულად ბედნიერი დასასრული გველის. ❗

„ფესვლები უნდა გე ჰქონდეს“  
შეიძლება, პირველივე წლებიდანვე გეძინ  
დაეძინებოდა. ახლა უკვე დიდი ხანი მთვ  
ნით, პინკინიანი ყვანის ფანჯრისკენ  
დავანებებიან. მთვარე მთვარე... ფან  
ჯრისკენ მივხედავ. მთვარე მთვარე  
ფანჯრისკენ... მთვარე მთვარე...



ფოტო: ლევან ხაჩიძე

# დახოუხიდაბობის 25 წაინაღი

ინტერვიუ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის  
მოადგილესთან, ივლიანე ხაინდრავასთან

## რას უნოდებთ ყველაზე მნიშვნელოვან მონაპოვარს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის 25-წლიან ისტორიაში?

საბჭოთა იმპერიის ნანგრევებზე ისეთი სახელმწიფოს შექმნას, რომელიც იმკვიდრებს ადგილს ევროპულ ოჯახში. ამ ნანგრევებზე აღმოცენებულ-თაგან ზოგს ევროპული სახელმწიფოს აშენების მიზანი არც დაუსახავს, სხვები – ვინც გაგვასწრო – იმთავითვე უკეთეს სასტარტო პირობებში იყვნენ ჩვენთან შედარებით, მაგრამ, მოდით, საკუთარ თავსაც ნუ დაეუკარგავთ მონაპოვარს. მით უფრო – იმ სამეზობლოში, რომელშიც, როგორც იტყვიან, გვინევს ცხოვრება და მოღვაწეობა. 25 წლის წინ, აბა, რამდენმა იცოდა მსოფლიოში საქართველოს არსებობა? 15 წლის წინ არშემდგარი სახელმწიფოების ჩამონათვალში მოგვიხსენიებდნენ; დღეს კი ევროკავშირთან ასოცირებული და ნატოს წევრობის მაძიებელი ქვეყანა ვართ. უამრავი პრობლემით, გაფლანგული შესაძლებლობებითა და დროით, მაგრამ ვართ, მე ვიტყვოდი, იმედისმომცემი სახელმწიფო.

## რა ფუნქცია აქვს დამოუკიდებელ საქართველოს დანარჩენი მსოფლიოსთვის?

პირველი ფუნქცია ზოგადად მოვხაზე წინა შეკითხვაზე პასუხისას – საბჭოეთის ნანგრევებზე, არც თუ სახარბიელო გარემოში შესაძლებელია თანამედროვე დემოკრატიის აშენება და ჩვენ ამას ვაკეთებთ. ისე არ გამოიგოთ, თითქოს მე ჩვენი დემოკრატიული (და სხვა) განვითარების დღევანდელი დონით კმაყოფილი ვიყო, მაგრამ ვექტორი მკაფიოა და მას მივყვებით. ამდენად, საქართველო მართლაც შეიძლება ერთგვარ ორიენტირად გამოდგეს მათთვის, ვინც გლობალურ მოზაიკაში თავისი ადგილის ჯერ კიდევ გააზრება/ძიების პროცესშია და მათთვისაც, ვინც ლიბერალურ დემოკრატიას მხოლოდ სიტყვის მასალად არ განიხილავს. ეს გახლავთ ჩვენი მთავარი ღირებულებითი ფუნქციაც, ჩვენდამი საერთაშორისო ინტერესის მიზეზიც და ჩვენი პასუხისმგებლობაც; ევროპული საქართველოს პროექტის წარუმატებლობა მხოლოდ ჩვენი

მარცხი არ იქნება. მეორე (პრაქტიკული, ან, თუ გნებავთ, კომუნიკაციური) ფუნქცია – რეგიონების დამაკავშირებლის – კი იმდენად გამოიკვეთა, რომ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

## ფაქტორები, რომლებიც კრავს საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ, ერთ სხეულად...

ერთიანი ერის განცდა საერთო კულტურის საფუძველზე. ჩვენი კულტურა ევროპულია თავისი არსით და უნიკალური – თავისი გამოვლინებებით, რაც დამახასიათებელია ევროპული კულტურულ-ცივილიზაციური სივრცისთვის. ბუნებრივია, არ ვიტყვი, თითქოს საქართველოს მთელი ტერიტორია ამ თვალსაზრისით ჰომოგენურია, მაგრამ დამოუკიდებლობის პირველი წლების მარაზმი, როცა მოქალაქეების დახარისხება ხდებოდა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, წარსულს ჩაბარდა. ნელ-ნელა ხერხდება საბჭოთა პერიოდში თავდაყირა დაყენებული პირამიდის ნორმალურ მდგომარეობაში მოყვანაც – სახელმწიფო მოქალაქისთვის და არა მოქალაქე სახელმწიფოსთვის. რაც უფრო წარმატებული – თავისუფალი, შეძლებული, უსაფრთხო – იქნება სახელმწიფო საქართველო, რაც უფრო ნაკლებად ჩაერევა იმ საქმეებში, რომლებსაც ინდივიდები და საზოგადოება უმაგისოდაც მოაგვარებენ, მით უფრო ლოიალური მოქალაქეები ეყოლება, მით უფრო ჯანსაღი ორგანიზმი იქნება.

## „წარსულის გაკვეთილები“ – რამდენად ითვალისწინებენ მომდევნო ხელისუფლებები წინამორბედთა მაგალითებს?

ითვალისწინებენ ცუდად. სამწუხაროდ, ქვეყანაში ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია სტაბილური პოლიტიკური ელიტა, მდგრადი პარტიული სექტორი (იშვიათი გამონაკლისის გარდა), რის გამოც მყიფეა საკუთრივ პოლიტიკური სისტემა. ხელისუფლების მაღალ ემულონებში ხშირად ხვდებიან შემთხვევითი ადამიანები, ვისაც არ გაუვლია პარტიულ-პოლიტიკური სკოლა. მათი „წელთაღრიცხვა“ იწყება იმ მომენტიდან, როცა ისინი გარემოებების

(და არა უნარის, ნიჭის, შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების) წყალობით აღმოჩნდებიან ხოლმე მალალ თანამდებობებზე. ბუნებრივია, მათ არ აქვთ „ინსტიტუციური მესხიერება“ – არ „იხარშებოდნენ“ პოლიტიკურ გარემოში, კრიტიკულად და სიღრმისეულად არ შეუფასებიათ პოლიტიკური პროცესი, მისი მონაწილეები და მათ შორის ურთიერთობები. ამიტომაც უნებლიეთ დააბიჯებენ ხოლმე ფოცხს, რომლის ტარიც მწარედ ურტყამს შუბლში ზუსტად ისევე, როგორც მათ წინამორბედებს. მნიშვნელოვანწილად, ეს იმის შედეგია, რომ ჩვენი მოსახლეობის მოზრდილ ნაწილში კვლავაც არის მორიგი „მესიის“ მოთხოვნა, რომელიც მოუგვარებს მას პრობლემებს. ან, რატომღაც, ისევე წარმატებულად შეძლებს სახელმწიფოს მართვას, როგორი წარმატებითაც მღეროდა, ცეკვავდა, ან ჭიდაობდა. ცხოვრებაში შეიძლება ასეც მოხდეს, მაგრამ განა უფრო საიმედო არ იქნება, თუკი პოლიტიკას პროფესიონალ პოლიტიკოსებს მივანდობთ? „მესიის“ თემას კი პოლიტიკურიდან იმ სივრცეში დავაბრუნებთ, სადაც მისი ადგილია... საკრალურ ქართულ კითხვაში – გვეშველება რამე? – იგულისხმება, თითქოს შველა ვილაცამ უნდა გვიბოძოს, რაც საფუძველშივე მცდარია: თუკი გვაქვს ჩვენი სახელმწიფო, თავს ჩვენვე უნდა ვუშველოთ. ჩვენ-ჩვენს ადგილებზე კეთილსინდისიერი შრომით.

**სამოქალაქო ომი, სეპარატული რეგიონები, ხავერდოვანი რევოლუცია, ომი რუსეთთან, პერმანენტული საპროტესტო ტალღები... სად შეიძლება მიიყვანოს განვითარების ამ ზიგზაგებმა დამოუკიდებელი სახელმწიფო?**

უნდა მიგვიყვანოს პლურალისტურ, კონკურენტულ, ლიბერალურ ევროპულ დემოკრატია-

მდე. არაფერი ისეთი ჩვენს თავს არ ხდება, რაც ევროპელებს არ გადახდენიათ. უბრალოდ, უფრო დინამიკურ დროში ვცხოვრობთ და მოვლენებიც უფრო „დაპრესილია“: ჩემი თაობის ქართველები იმდენის მოწმენი და მონაწილენი გავხდით, რასაც რომელიმე პატიოსანი შვედების სულ მცირე სამი თაობა დასჭირვებია. და ისიც გვახსოვდეს, რომ დამოუკიდებლობას თავისი ფასი აქვს – მორალურ

მონაპოვრებს ფიზიკური დანაკარგები სდევს ხოლმე თან. იმავდროულად, თუკი ჩვენს შიდა საქმეებში ხელის ფათურის საშუალება მიეცემა მათ, ვისაც სხვაგვარად და სხვაგან წარმოუდგენია ჩვენი მომავალი, შეიძლება კვლავ იმ სივრცეში ამოვყოთ თავი, საიდანაც ზიგზაგებით, ნაფორხილებით, ერთსა და იმავე ფოცხზე მრავალგზის დაბიჯებით გამოვრბივართ აგერ უკვე მეოთხედი საუკუნეა...

**ხედავთ თუ არა საფრთხეს – საქართველომ შეიცვალოს ისტორიული პოლიტიკური კურსი – კურსი დასავლეთისკენ? და თუ ხედავთ, რა განაპირობებს ამ საფრთხეს?**

ყბადღებულნი „პოლიტკორექტულობა“ (როცა ერიდებიან, რომ მოვლენას თავისი სახელი უწოდონ) მოითხოვს, რომ გიპასუხოთ „არა“, მაგრამ ანალიტიკოსის სინდისი მაიძულებს, გითხრათ, რომ ვხედავ. უფრო სწორად – ვხედავ საფრთხეს, რომ ამ კურსიდან შეიძლება გადაგვახვედნონ. ეს შეიძლება მოხდეს, თუკი სრულ თანხვედრაში მოვა (სინერგიას შეიძენს) შიდა და გარე ფაქტორების ერთობლიობა, რადგან ცალ-ცალკე აღებული არც ერთი მათგანი საკმარისი არაა ამგვარი კატაკლიზმის (რომ არ ვთქვათ – კატასტროფის) გამოსაწვევად. შიდა ფაქტორებში ვგულისხმობ ადგილობრივ ვაი-პატრიოტებს, სტალინისტებს, სხვა ჯურის შეგნებულ თუ სტიქიურ ფუნდამენტალისტებს, მანიებითა და ფობიებით

**■ ჩვენი კულტურა ევროპულია თავისი არსით და უნიკალური – თავისი გამოვლინებებით, რაც დამახასიათებელია ევროპული კულტურულ-ცირვილიზაციური სივრცისთვის. ბუნებრივია, არ ვიტყვი, თითქოს საქართველოს მთელი ტერიტორია ამ თვალსაზრისით ჰომოგენურია, მაგრამ დამოუკიდებლობის პირველი წლების მარაზმი, როცა მოქლაქეების დახარისხება ხდებოდა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, წარსულს ჩაბარდა.**

შეპყრობილ, ინდივიდუალური თუ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიმართ უპასუხისმგებლოდ განწყობილ ადამიანებსა და მათ დაჯგუფებებს, ვისაც „პატრონი სჭირდება“. აგრეთვე – მხოლოდ საკუთარ ამბიციებზე ფოკუსირებულ საჯარო პერსონებს, ვინც ამ ამბიციების დასაკმაყოფილებლად ყველაფერზეა ნამსვლელი. ჩვენი პატრონობის მსურველი კი აგერ – ჩრდილოეთ საზღვარს გადაღმა და, ნაწილობრივ, ჩვენს საზღვრებს შიგნითაცაა და სულაც არ ზის გულხელდაკრეფილი. თუ ამას კიდევ ერთი გარე ფაქტორი დაემატა – დასავლეთის ინერტულობა, სტრატეგიის უქონლობა, ჩვენი ლეგიტიმური არჩევანის და მისივე – დასავლეთის – ინტერესების დაცვის, საჭირო დროს საჭირო გადანყვეტილების მიღებისა და ამ გადანყვეტილების აღსრულების უუნარობა, მაშინ მოგვიწევს მძიმე ბრძოლის გაგრძელება იმისთვის, რაც თითქოს უკვე მოვიპოვეთ დამოუკიდებლობის 25 წლის განმავლობაში.

**საქართველოს ახალი გამოწვევა – არაფორმალური მმართველობა, რამდენად მნიშვნელოვნად აფასებთ ამ საფრთხეს?**


რატომ – ახალი? ხელისუფლების პერსონიფიკაციის მაღალი ხარისხი, განა, ახალია ჩვენთვის? განა ქართულ პოლიტიკაში ინსტიტუციური ურთიერთობები უკვე დომინირებს პერსონალურზე? არაფორმალური მმართველობა სხვადასხვანაირად იჩენდა თავს შევარდნაძის, სააკაშვილისა თუ ივანიშვილის „შესრულებით“, მაგრამ ჩვენი ცხოვრების თანმხლები ფაქტორი იყო მუდამ. სხვა საქმეა, რომ დღევანდელ ეტაპზე ამან, სწორედაც რომ, ყველაზე უფრო არაფორმალური სახე შეიძინა, როცა ზოგიერთ გადანყვეტილებაზე გავლენას ახდენს სახელისუფლებო სტრუქტურებიდან გასული პირის ჭარბი ავტორიტეტი. ამის ღიად თქმის უფლება მაქვს იმიტომ, რომ წინააღმდეგი ვიყავი (ჩემს თანაპარტიელ რესპუბლიკელებთან ერთად) მისი არაფორმალურ სივრცეში დროზე ადრე გადანაცვლებისა და მან, ეს იცის. წინააღმდეგი ვიყავი არა მხოლოდ იმიტომ, რომ მან თანამდებობის შეუსაბამო მემკვიდრე დატოვა მთელი ორი წლით, არამედ იმიტომაც, რომ სწორედ ამ ორი წლის შედეგად საუბარი არაფორმალურ მმართველობაზე არც თუ უსაფუძვლო გახდა. რაც აკნინებს კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული გამჭვირვალე მმართველობის დემოკრატიულ პრინციპს. მეორე მხრივ კი ეს ვითარება გამოძახი-

ლია იმ მდგომარეობისა, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ – ჩამოყალიბებული ელიტა, არამდგრადი პარტიულ-პოლიტიკური სპექტრი, ბევრი შემთხვევითი ადამიანი ხელისუფლებაში, ვინც თავად ესწრაფის სხვისი ავტორიტეტის გავლენის ქვეშ მოქცევას. დაუმატეთ ამას „მესიის მოთხოვნილება“ მოსახლეობაში და მივიღებთ არსებული მდგომარეობის ახსნას. მივიჩნით, რომ ეს ყოველივე დაღვინების თანმხლები პროცესია და თუკი პირველივე „მოთხლედის“ (არჩვენებს შორის პერიოდს ვგულისხმობ) შემდეგ პრობლემა მოგვარდა, ე.ი. საქმეც არცთუ ურიგოდ გვკონია.

**იზრდება თუ არა, და თუ კი, რამდენად დინამიკურად – საზოგადოების პოლიტიკური კულტურა?**

იზრდება. არა იმ ტემპით, რომელსაც ვისურვებდით, მაგრამ იზრდება. ასეთ მაგალითს მოგიყვანთ. ვთქვათ, ათი წლის წინანდელ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში, როცა რესპონდენტს უნდა აერჩია რალაციის მიმართ დამოკიდებულების ყველაზე უკეთესი ამსახველი ერთ-ერთი პასუხი – „სრულიად ვეთანხმები“, „უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა“, „უფრო არ ვეთანხმები“, „სრულიად არ ვეთანხმები“, დიდი უმრავლესობა ირჩევდა პირველ ან მეოთხე (კატეგორიულ) ვარიანტს. დღეს უფრო ხშირია მეორე ან მესამე ვარიანტის პასუხები, ანუ სიყვარულ-სიძულვილის ემოციური მდგომარეობიდან მოქალაქე გადავიდა უფრო მოზომილი, დაფიქრებული, თუ გნებავთ – ეჭვნარევი არჩევანის რეჟიმში. და ეს კარგია, რადგან ცხოვრება ჩვენგან „კი“-„არა“ ტიპის მარტივ პასუხებს კი არა, უფრო რთულ – „კი, მაგრამ“ და „არა, თუმცა“ შინაარსის პასუხებს მოითხოვს. მით უფრო – ისეთ რთულ სფეროში, როგორცაა პოლიტიკა.

**დაბოლოს, რას მიიჩნევთ ახლო მომავლის ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად?**

ორი ფუნდამენტური ღირებულების სინქრონულ დაცვა/გაძლიერებას – თავისუფლებისა და უსაფრთხოების. ანუ, თავისუფლებას უსაფრთხოება არ უნდა გადავაცილოთ, ხოლო უსაფრთხოებას – თავისუფლება. აბა, სხვა რაა დამოუკიდებლობა, თუ არა უსაფრთხოებით უზრუნველყოფილი თავისუფლება? 


ესაუბრა ზურაბ ვარდიაშვილი





დაბოჯანიღაბლოზის დღე,  
ან "მანსიჩაზის ადგილი"

დავით ბუნურიკიძე



ჩვენი ქვეყანა უახლესი ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან, ლამის საკარალურ თარიღს – 26 მაისს, ანუ დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, უკვე ოცდამეხუთედ აღნიშნავს. ამდენად, კარგი მიზეზი გვაქვს, ერთხელ კიდევ გადავვლით თავლი ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიას, გავიანალიზოთ მისი მნიშვნელობა და ხელახლა დავაცხადოთ ლამის „წყველა-კრწლვინი“ კითხვები: რა დროში ვცხოვრობით? განვითარების რა ეტაპზე ვიმყოფებით? რა შინაი გვაქვს მომავალში? საით მივმართება ჩვენი სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ვექტორები?

დაახლოებით სამი ათასწლიანი სახელმწიფოებრიობის გამოცდილების მიუხედავად, საქართველო საუკუნეების განმავლობაში უცხო ქვეყნების მიერ ბევრჯერ იყო დაპყრობილი და ამდენად, განმათავისუფლებლობა, როგორც იდეა, ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩვენი ერის სოციალურ-სუბანიონის, კონსოლიდაციისა და ერთგვარი „გამქობების“ არქიტექტურის ჩამოყალიბებაში.

დაიეთიას და თამარის დიდი ეპოქების შემდეგ, სახელმწიფოებრივი დანაკარგი, რევრქი და განადგურება გაცილებით სავრწმობი იყო, ვიდრე წინსვლა და წარმატება. „დიდი თურქობისა“ და სპარსელების არაერთი შემოსევის შემდეგ (განსაკუთრებით საბუდინერო გამომდგა ალა-მამად-ხანის ლაშქრობა 1795 წელს), ქვეყნის გადარჩენას პოლიტიკური ელვა მანვე ერთმორწმუნე რუსეთში ეძებდა, თუმცა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა 1801 წლიდან, ანუ რუსეთთან შეერთების შემდეგ, მანვე უტოპიად რჩებოდა.

XIX საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან

ნი პუბლიცისტიური ფრანზა – „ჩვენი თავი ჩვენადვე გაცუდუნეს“, უზიარეს იდეად გასდევდა საქართველოს ინტელექტუალურ და სულიერ ცხოვრებას. ეს ისტორიის ხელახლა გახარებას და ამავე დროს, წარსულის მემკვიდრეობის ბაზგანმას ნიშნავდა; რეალობის ფიხელ, მაგრამ მგრწმობითი შეგრწმებას „აღრღვეულ“ დროთა კავშორის აღდგენას...

ილია და „თურგდალეულები“ უწრწლად ცდილობდნენ ერთნულ იდეალებსა და სულსკვეთების გაცუეებას და რეალურად, მომავალი დამოუკიდებლობისთვის ამზადდნენ ქვეყანას. მათ შეგრწმეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დაფუძნეს ქართული სათავდაზნაურ ბანკი, გამოუშვეს ქართული ფრწალ-გაზეთები, აღადგინეს ქართული თეატრი. რასაც მალევე მოჰყვა რეალური ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

მეოცე საუკუნის დასწყისში მეფის რუსეთმა, როგორც იმპერია, თავისი შესაძლებლობები ამწურა. ქვეყნის შიგინი გაქრწილი წინააღმდეგობები 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციაში გადაიხარდა, რამაც საბოლოოდ დაასამარა რომწიფების სამწწწლიანი დინასტია. რუსეთის კეკასისთვის აღარ ეცალა და შუასამაისად, საქართველოს ისტორიასა და ბედის შესაცვლელად ხელსაწრელი დრო დადგა. ეს შესაძლებლობა ქართულმა ეკლესიამ კარგედ გამოიყენა – 1917 წლის მარტში სიონის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს სამოციქული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა... აქედან კ ქვეყნის რეალურ თავისუფლებამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები, რომლებსაც მანამდე რუსეთის დროებით მთავრობაში მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავათ. მართალია, სოციალურ-დემოკრატების პოლიტიკური პროგრამა



მთავრობის პოლიტიკური პროგრამა



მთავრობის პოლიტიკური პროგრამა

ზე გაცილებით მაღლა იდგა. 1918 წლის 26 მაისს თბილისში ერთვრწმა საბჭომ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის პირველ პუნქტში გაცხადებული იყო სწორედ ეს, რაზეც თავის დროზე არაერთი მამულობილი ოცნებობდა: ამჟღირდა საქართველოს ხალხი სუვერწულ უფლებოთა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“.

მამნიდელი მოვლენების ერთ-ერთი მონაწილე, ცნობილი ისტორიკოსი, პუბლიცისტი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი, ზურაბ ავალიშვილი წერდა: ამ განსაკუთრებულ წუთში როგორ არ გვეხსნა ისტორიული სტიქების გუგუნი; როგორ არ გველე იმათი ხმა, ვინც დიდი ხანი ადარ არს... აი, დამოუკიდებლობამ ვარზე მოაკეთა და როგორ არ შეეცდებოდა ალტაცებით თუ ეს წუთი გაუგებოდა, რა პასუხი გავცემთ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა?... „ქემმარტი“ პასუხი დამოუკიდებლობა საქართველომ სამი წლის შემდეგ სწორედ ჩრდილოეთიდან მიიღო – ეს იყო კლასიკური ინტერვენციის დასაწყისი, როდესაც 1921 წლის თებერვალში წითელი არმიის ნაწილებმა, ადგილობრივ ბოლშევიკებთან ერთად, საქართველო დაიპყრეს.

დამოუკიდებლობის სამწლიანი (1918 -1921) პერიდი ძალადობრივმა საბჭოთა ხელისუფლებამ შეცვალა. პირველი რესპუბლიკის მთავრობა ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ იძულებული გახდა, ევროპაში გაქცეულიყო. თავად ბოლშევიკები დამოუკიდებლობის პერიოდს ახასიათებდნენ, როგორც არაპოპულარულ, რეაქციულ და კაპიტულანტურ რეჟიმს, რომელმაც დაატყა საქართველოს ეკონომიკა და განეჭრა ტრადიციული კავშირები რუსეთთან ( ალბათ, გვენოთ პროპაგანდისტული ლექსიკა).

კომუნისტური რეჟიმის პრობებში „დღეისებური“ თუ „დაკარგული“ ისტორიული მესხიერების დარღვევა მოცულობით 70-80-იან წლებში ურთულეობით მოძრაობის პოლიტიკური ელტის ერთ-ერთი უზოთარესი მიზანი გახდა. ეს კი უწინარესად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის



საქართველო, აპრილი 1989 წ.

რის წინ ნამოწევას და საბჭოთა მმართველობის დანაშაულებრივი, „ქემმარტი“ სახის ჩვენებას ითვალისწინებდა.

სწორედ ქემმარტიების, ანუ მარაბასა და ქრისტეს გზის განმასხვებელი „ნიშნების“ გაცხა-

დება დააკისრა ბუგმა დისიდენტ ზვიად გამსახურდიას. მისი მჭერის მეტყველებას და დიკტატორული მეტაფორების მიღმა (რაც განსაკუთრებით მიტინგებზე გამოხდის) იფრინობდა ბიძივად შევსული პოლიტიკური ნება, დიდი ამბიციის და



საქართველო, აპრილი 1989 წ.

ურფო მეტი ავტობტებში იკითხებოდა.

ცნობილი მწერლის, კონსტანტინე მარე საქართველოში – ზვიად გამსახურდიის შუილი მთელი ცხოვრების განმავლობაში პოლიტიკური ბრებში მიტინგებზე გამოხდის) იფრინობდა ბიძივად შევსული პოლიტიკური ნება, დიდი ამბიციის და

ფროსტისა და ბოლდერის ლექსების მთარგმნელი, ადამიანის უფლებების პელსინოს ჯგუფის“ თავმჯდომარე საქართველოში – ზვიად გამსახურდიის შუილი მთელი ცხოვრების განმავლობაში პოლიტიკური ბრებში მიტინგებზე გამოხდის) იფრინობდა ბიძივად შევსული პოლიტიკური ნება, დიდი ამბიციის და

კარიბჭესთან მსგავსი ამაში წარმოდგენილი მგობარი, ასევე დისიდენტ და, უზრუნველ, მუსიკის მასწავლებელი, მერაბ კოსტავა ემარგობდა, რომლის გავლენა და ავტორიტეტ საზოგადოებაზე გამსახურდიის „მონაწილეს“ შემდეგ არანაყოფიერად გაიზარდა. თუმცა მერაბ კოსტავა უშიშროებამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ადრეულ ეტაპზე მოშორა თავიდან.

დისიდენტური ენებშია და მიტინგებით „გავარგარებული“ საქართველო საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკათა შორის აღმოჩნდა (ძრითადად, ლიტვა, ლატვია და ეტონიური ავტორიტეტის), რომლებმაც პირველებმა გადადგეს ნაბიჯი დამოუკიდებლობისაკენ. ამ პრიცესს მეტწილად ხელი შეუწყო 1989 წლის აპრილის მოვლენებმაც, როდესაც 9 აპრილს, გამოქრინისას საბჭოთა ჯარმა სასტიკად დაარბია მშვიდობიანი მინიფესტიციის მთავრობის სახლთან. შეიძლება ითქვას, რომ 1989 წლის 9 აპრილის „სისხლიანმა მისტერიამ“ საბჭოთა საქართველოს არსებობას საბოლოოდ დაესვა წერტილი: 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ხელისუფლებამ მოიხდა „პირვალის მავიდა – თავისუფალი საქართველო“, რომელსაც სათავეში სწორედ ზვიად გამსახურდიის ედგა. 1991 წლის 31 მარტს გაიმართა რეფერენდუმი, რომელზეც საქართველოს მოსახლეობამ თავისი არჩევანი გააკეთა და საქართველოს დამოუკიდებლობის მისცა ხმა.

იმავ წლის 9 აპრილს კი უფლებების საბჭოს სესიისზე საქართველოს დამოუკიდებლობის ატკი მიიღეს.

1918 წლის დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე 73 წლის შემდეგ, 1991 წელს საქართველომ დამოუკიდებლობის დედ ეროვნულ დედ-

სასწაულად გამოაცხადა. ერთ-ერთი უდიდესი გერმანული გაზეთი „Die Welt“ 1991 წლის 3 აპრილის ნომერში აღნიშნავდა: „საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა, უფრო მეტმა, ვიდრე ბალტიისპირეთში, მხარი დაუჭირა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და ამდენად, საბჭოთა კავშირიდან გასვლას. როგორც ბალტიისპირეთში, ისე საქართველოში (რომლის მოსახლეობის დაახლოებით 28-29% არაქართველია) მოსახლეობის უმრავლესობამ, ანუ დაახლოებით 91%-მა რეფერენდუმზე ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. ეს ფაქტი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ვინაიდან პოლიტიკური ბრძოლის პროცესში საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას გამუდმებით მიანერნენ ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაცია“.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე დაახლოებით 3 მილიონ 295 000 ადამიანმა დაუჭირა მხარი. ნათელია, რომ მხარდამჭერთა აბსოლუტურ უმრავლესობას გაცნობიერებული ჰქონდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მნიშვნელობა.

1991 წლის 26 მაისს საქართველოში გაიმართა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც ხმების 87% სწორედ ზვიად გამსახურდიამ მიიღო და დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტიც გახდა. 9 აპრილის მოვლენებს დიდი გამოცხილი მოჰყვა საბჭოთა კავშირის ბევრ რესპუბლიკაში, განსაკუთრებით ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

უკვე 1991 წლის მეორე ნახევარში ზვიად გამსახურდიას მთავრობის წინააღმდეგ მასობრივი

საპროტესტო აქციები დაიწყო: ინტელიგენციის დიდი ნაწილი, რომელსაც თავად გამსახურდია „წითელ ინტელიგენციას“ უწოდებდა, ოპოზიციაში აღმოჩნდა. დაპირისპირებამ იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ დეკემბრის ბოლოს საქართველოში დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელსაც მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი მოჰყვა,

1992 წლის 6 იანვარს ზვიად გამსახურდია მომხრეებთან ერთად იძულებული გახდა, საქართველო დაეტოვებინა. დაახლოებით სამი თვის განმავლობაში ქვეყანას მართავდა ე.წ. სამხედრო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, ყოფილი თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი და სამხედრო გაერთიანება „მხედრიონის“ ლიდერი ჯაბა იოსელიანი.

ომისა და ქაოსის შემდეგ, 1992 წლის მარტში საქართველოში ბრუნდება ედუარდ შევარდნაძე – „თეთრი მელა“; საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოს ცკ-ის ყოფილი პირველი მდივანი, ქართული ენის „გადამარჩენელი“, თენგიზ აბულაძის „მონანიების“ უპირველესი მხარდამჭერი და „პერესტროიკის“ თანავტორი. როგორც ქართულ პრესას უყვარდა ნატრაბახება, „ჯეიმს ბეიკერისა და ჰანს-დიტრის გენშერის მეგობარი“ (აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის და გერმანიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის - დ.ბ.).

„სამხედრო საბჭოს“ შევარდნაძემ შედარებით დემოკრატიული და ოდნავ დამცინავი სახელწოდება შეუწრია – „სახელმწიფო საბჭო“ და სიგუა-კიტოვან-იოსელიანის ტრიუმვირატს „გადემოკრატიულების“ შანსი მისცა. ბედის ირონიით, 10-12 წლის შემდეგ საქართველოს კიდევ

ერთი ტრიუმვირატი მოევლინება (საკაკაშვილი, ჟვანია, ბურჯანაძე), რომელიც თავისებურად „გააოცებს“ დაძაბულ პოსტრევოლუციურ რეჟიმში მცხოვრებ საქართველოს.

თუმცა ვერც ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის მალალმა სტატუსმა და ვერც „მსოფლიო დემოკრატის“ იმიჯმა უშველა ედუარდ შევარდნაძეს, როდესაც 1992 წლის აგვისტოში აფხაზეთში ომი დაიწყო.

საქართველოს სამთავრობო ჯარებსა და სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ მებრძოლებს შორის საომარი მოქმედებები დაახლოებით 13 თვეს გრძელდებოდა. სეპარატისტთა მხარეზე ასევე იბრძოდნენ ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი, დაქირავებული მებრძოლები ჩრდილო კავკასიიდან და რუსეთის სამხედრო ბაზის გარნიზონი გუდაუთაში. ამ ომს კიდევ უფრო ართულებდა სამთავრობო ჯარების დაპირისპირება ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებთან და „მხედრიონის“ რაზმების მიზანმიმართული სისასტიკე სამეგრელოს სოფლებსა და ქალაქებში.

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა! ქალაქი სეპარატისტებმა და ჩრდილოკავკასიელებმა დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ საომარი კონფლიქტის შედეგად 30 ათასამდე ეთნიკური ქართველი და 4 ათასამდე აფხაზი დაიღუპა. კონფლიქტის შედეგები ძალიან მძიმე აღმოჩნდა ფინანსურადაც და ფსიქოლოგიურადაც. საომარმა შეტაკებებმა აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად გააპარტახა. დღეს აფხაზეთის რეგიონი, რომელიც „დე ფაქტო“ დამოუკიდებლობით სარგებლობს, მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. აფხაზეთის რეგიონი მთლიანად დამოკიდებულია რუსეთის ფედე-



სამოქალაქო ომი, თბილისი, 1991 წ.

რაციაზე და როგორც თავად აფხაზები ამბობენ, „რეგიონი რუსეთის ფედერაციის პროტექტორატია“.

წაგებული ომისა და რთული ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, 1992 წლის შემოდგომაზე გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგად შევარდნაძემ ხელისუფლების ლეგიტიმაცია მაინც მშვენივრად მოახერხა – ის საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს. ედუარდ შევარდნაძე პარლამენტს თავმჯდომარეობდა 1992-1995 წლებში. ამავე დროს, ის იყო თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო 1993-1995 წლებში თავმჯდომარეობდა საკონსტიტუციო კომისიას, რომელმაც მოამზადა საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის პროექტი.

1995 წელს პარლამენტმა საქარ-

**■ 1992 წლის 6 იანვარს ზვიად გამსახურდია მომხრეებთან ერთად იძულებული გახდა, საქართველო დაეტოვებინა. დაახლოებით სამი თვის განმავლობაში ქვეყანას მართავდა ე.წ. სამხედრო საბჭო.**

თველოს კონსტიტუცია დაამტკიცა. ამავე წელს გაიმართა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. შევარდნაძის ინიციატივით დაარსდა „მოქალაქეთა კავშირი“, რომელიც შემდგომ, 1995-2002 წლებში მეინსტრიმ-პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდა საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძემ დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება მოახერხა, პრესის თავისუფლებაც წაახალისა და მრავალპარტიული, დემოკრატიული

არჩევნებიც გამართა, საბოლოოდ, ის მაინც კლასიკურ „ძალაუფლების პარტიას“ დაეყრდნო. „მოქალაქეთა კავშირი“ ტიპური „ძალაუფლების“ პარტია იყო, რომელსაც არ აერთიანებდა არც საერთო ფასეულობები და არც ერთიანი პროგრამა.

კონსტიტუცია, რომელიც შევარდნაძის ინიციატივით, 1995 წელს „მოქალაქეთა კავშირმა“ მიიღო, ასე ვთქვათ, კონსტიტუცია „ზემოდან“, შესაძლოა, წინგადადგმული ნაბი-



მთავარი თემა

ჯი" იყო, მაგრამ ახალი ქართული სახელმწიფოს კონსტიტუციურ ნუსხრავს ვერ მოავგარებდა. საბოლოოდ, ედუარდ შევარდნაძემ მაინც პარტიული ძალაუფლებას, ანუ „მოქალაქეთა კავშირს“ დაეკრძინა და არა თავისუფალ ბაზარს, თავისუფალ პრესას, ან დემოკრატიის ინსტიტუტებს.

1999 წლისა და 2003 წლის არჩევნებს შორის ის პრინციპული განსხვავებები იყო, რომ 1999 წელს „მოქვეყნისა“ და შევარდნაძის მომხადადებულ-მომხრეებელი რეფორმატორები – მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ჟვანია, ნინო ბურჯანაძე, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეგივილი – ვერ კიდევ ნორჩები და ასე ვთქვათ, პოლიტიკურად „უბნობები“ იყვნენ, თუმცა 2003 წლის ნოემბერში მომხარვეთ რევოლუცია არა მარტო წარსულის პოლიტიკის, არამედ მილიანად ამბის ბაზის“ დანგრევას ნიშნავდა. მამის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ და ფსიქოანალიტიკურ შურისძიებას... საკუთრივ, რევოლუციის სახელით.

„რევოლუციური კანონი, აღნიშნავს ფრანგი ფილოსოფოსი და რე-

ვოლუციონერი კონფროსი, არის კანონი, რომლის მიზანია შეინარჩუნოს რევოლუცია და დასტურის, ან არეგულროს მისი კურსი“. პოლიტიკურად მომნიჭებულმა ტრიუმფირატმა (მიხეილ სააკაშვილმა, ზურაბ ჟვანიამ, ნინო ბურჯანაძემ) თავად შევარდნაძისგან ათიფისა, რომ რევოლუციური კანონი სინამდვილეში არის სწორედ ის ძალა, რომელიც კანონსა და კონსტიტუციასზე მაღლა დგას. იგრძნეს რა შეუზღუდავი ძალა, რევოლუციურ აზარტში შესული ახალგაზრდა პოლიტიკოსები სახიფათო შესაძლებლობით შეიარაღებული აღმოჩნდნენ. ვარდების რევოლუციამ“ (როგორც მომხიბლავიც უნდა ყოფილიყო ეს ძალაუფლება გარემოში) პოლიმდე მთაინათ ვერ მამები და მათი იდეები, შემდეგ კი თავად რევოლუციის უმღები და ურჩი შეიღები.

„ვარდების რევოლუციამ“ პირველადე წლებში (2003-2006) სწრაფ, უფეტხიან და ენერგიულ რეფორმებთან ერთად მის ხელთ არსებული უზარმაზარი ძალაუფლება და რესურსი გაფლანგა. იმპტიმში შეიღება იტყვას, თვალსა



ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლა საქართველოში, თბილისი, 1992 წ.

და ხელს შუა გაილია – ვერ ჟვანიის აუხსნელი სიცივილის, შემდეგ გორგელაინის ნაშების, ბოლოს კი, 2007 წლის 7 ნოემბრისა და 2011 წლის 26 მაისის აქციების დარტყვის ფონზე. რასაკვირველია, პრეზიდენტ სააკაშვილს შეეძლო ძალაუფლების უდიდესი ენერგია პოლიტიკურ

პროცესების დასამშვიდებლად გამოეხენებინა. საამისოდ კი საჭირო გახდებოდა რევოლუციის ტრანსფორმაცია მშვიდ და საქმიან ვითარებაში.

ასეთი პროცესის წარმართვისათვის, სულ მცირე, ძალაუფლების ხაზისათვის გადამანიღება იყო

საჭირო, რაც „ანკვიონალურმა მოძრაობამ“ არ გააკეთა. პირიქით, მან პარტიული ვერტიკალი კიდევ უფრო გააძლიერა და ხალხს კონსტიტუციით მიიჭებულ უფლებები უფრო შეუზღუდა. სწორედ ძალაუფლების დანაწილების პრობლემა გახდა თავის დროზე, სააკაშვილის

განხეთქილების მთავარი მიზეზი „რესპუბლიკურ პარტიასთან“. რაც მთავარია, ქვეყანაში არ არსებობდა ალტერნატიული პოლიტიკური ძალა, რომელიც „ანკვიონალურ მოძრაობას“ აიძულებდა, ანგარიში გეენია სასამართლოსთვის, მედიისთვის, არასამთავრო-



„ვარდების რევოლუცია“, თბილისი, 2003 წლის ნოემბერი

ფოტო: გიორგი ბუბიაძე

**„ვარდების რევოლუციამ“ პირველსავე წლებში (2003-2006) სწრაფ, ეფექტიან და ენერგიულ რეფორმებთან ერთად მის ხელთ არსებული უზარმაზარი ძალაუფლება და რესურსი გაფლანგა.**

ბო სექტორისთვის. ცხადია, ეს რომ მომხდარიყო, მნიშვნელოვნად შეიცვლებოდა სახელისუფლებო შტოებისადმი და ზოგადად, სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი დამოკიდებულება. საქართველოს დამოუკიდებლობის 25-წლიანი ისტორიის განმავლობაში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შეძლო მნიშვნელოვანი და სწრაფი ეკონომიკური რეფორმები განეხორციელებინა, მაგრამ ასევე სწრაფად მოახერხა, რუსეთის სამხედრო პროვოკაციაზე იოლად წა-

მოგებულებო. მმართველი პარტიის სიშლევისა თუ სულსწრაფობის ნეკლობით, ქვეყანა ომში აღმოჩნდა ჩათრეული, რასაც საქართველოსთვის კატასტროფული შედეგები მოჰყვა: რუსეთმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი უკვე ოფიციალურად აღიარა. ცალკე საუბრის თემაა ისეთი არაერთმნიშვნელოვანი და პოლიტიკურად წამგებიანი თარიღები, როგორებიცაა: 2007 წლის 7 ნოემბერი და 2011 წლის 26 მაისი. ოპონენტები განუწყვეტილვ ასხენებდ-

ნენ მათ წარსულს და შესაბამისად, ადამიანის უფლებების დარღვევას. თანამედროვეობასთან რომ გავავლოთ პარალელი, 2012 წლის არჩევნების შემდეგ უკვე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები საუბრობენ ადამიანის უფლებებზე, ხოლო ვანო მერაბიშვილსა და გიგი უგულავას პოლიტპატიმრებად მიიჩნევენ... ისე, რა დამცინავია ზოგჯერ ბედი! ფილოსოფოსი ჯოვანი ჯენტილე, რომელიც მუსოლინის აქტიური მხარდამჭერი იყო, სტატიაში „რა არის ფაშიზმი“ წერდა: „მაქსიმალური თავისუფლება ყოველთვის ემთხვევა სახელმწიფოს მაქსიმალურ ძალას. მაგრამ რომელ ძალას? ამ სფეროში განსხვავებებზე ლაპარაკი მათ უყვართ, ვინც არ ემორჩილება ძალის ისეთ კონცეფციას, რომელიც არსებითია სახელმწი-



2011 წლის 26 მაისი

სამართლის დაცვის



ფოსტის და ამრიგად — თავისუფლებისათვის. ისინი განასხვავებენ მორალურ ძალას მატერიალურისგან: კანონის ძალას, რომელიც თავისუფალი არჩევანის შედეგადია მიღებული და ძალადობრივ ძალას, რომელიც მკაცრად ზღუდავს მოქალაქის ნებას. ეს განსხვავება გულბრწყინვითად შეიძლება მივიჩნიოთ, თუ ეს გულბრწყინვითად ყოველგვარ ძალა მორალური ძალაა, რადგან ის ნების მიმმართველია. და, რა არგუმენტიც არ უნდა გამოვიყენოთ — ქადაგება იწინება თუ ხელეკტი, მისი ეფექტიანობა ისაა, რომ საბოლოო ფაზაში, შინაგანად უზიგბებს ადამიანს, დაარწმუნებს მას, მორჩილებასკენ მოუწოდებს".


მაშ ასე, ვერჩილედ და მუსოლინი. მორალის ძალა თუ მატერიალური ძალა? საიდანაც ორიოდ ნახოვია

■ ფლორა-ფაუნის ამ უცნაურად მოყვარულმა და „სამების“ აღმშენებელმა კაცმა ვერც საზოგადოებრივ სიერცეს შესძინა რამე ახალი, გარდა უნაყოფო ჭორებისა და ვიდვობით მანიპულირებისა, რომლებიც, როგორც ჩანს, „ნაციონალუმაც“ და „ოცნების“ წევრებმაც იმდენი გადაიღეს და მოიმზარეს, რომ მომავალ თაობებს სერიულად ეყოფათ.

ძალის და ძალადობის ინტერპრეტაციამდე, 2012 წელს არჩეულზე ერთმანეთს ფაქტობრივად ორი ძალა დაუპირისპირდა — „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ „ფეხბრძოლა“ პოლიტიკოსები. ვიდრე ისინი ერთმანეთში გარკვევენ, რა განსხვავებაა ძალა-სა (power) და ძალადობა (violence) შორის, ან ვის აქვს ამ ძალადობრივ შეჯიბრებებში უპირატესობა, საზოგადოება საკუთარ არგუმენტებსა

და მოთებს იმელოებს ორივეს წინააღმდეგ, ხოლო როცა ფერმკრთალებმა რეალური პოლიტიკური არგუმენტებით ჭაფილი, ორივეს უკან კარგად ნაცნობი რეალობა იხატება — დიდი ფულია საიდან, ვის, რამდენი და როგორ ეს მოლოდინი დეტალებია, რომელიც ათასი ენაჯიკითად იმელება.

მისაზრება, რომ „ოცნების“ გამარჯვების შემდეგ მილიარდერ ბიზინს ივანიშვილის აქტიურ პოლიტიკაში გამოჩენა, ანუ მისი „გადამიანურება“ პოლიტიკურ ლანდშაფტს მნიშვნელოვნად შეცვლიდა, არ გამოიხატა. ფლორა-ფაუნის ამ უცნაურად მოყვარულმა და „სამების“ აღმშენებელმა კაცმა ვერც საზოგადოებრივ სიერცეს შესძინა რამე ახალი, გარდა უნაყოფო ჭორებისა და ვიდვობით მანიპულირე-



2013 წლის მარტი

ბისა, რომლებიც, როგორც ჩანს, „ნაციონალუმაც“ და „ოცნების“ წევრებმაც იმდენი გადაიღეს და მოიმზარეს, რომ მომავალ თაობებს სერიულად ეყოფათ.

კარგი იქნება, თუ ორი ან რამდენიმე საპარლამენტო პარტიიდან (მათი შეზღუდვებისა და ხარისხის მოხედვად), არც ერთს არ ექნება აბსოლუტური უმრავლესობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს უცუქეთია, ვიდრე ერთპარტიული მმართვე-

იყო სასარგებლო, რომ უსისტემოდ გაფანტულ, პატარა სოციალურ და პოლიტიკურ ჯგუფებს ერთ პლატფორმად ჩამოაყალიბება შეძლებოდათ, თუმცა პარლამენტს გართი დარჩენილი წერილი პარტიები იმნიშვნელებს, ვისაც აღარც მიმასი სუფერა და არც გრძობა, კარგი შესაძლებლობა ეძლევათ, არჩევანი შეესა და თვისი შორის აღარ გააკეთონ. „ქსაშე პოლიტიკური ცენტრის“ იდეა თავის დროზე იმიტომ

იყო სასარგებლო, რომ უსისტემოდ გაფანტულ, პატარა სოციალურ და პოლიტიკურ ჯგუფებს ერთ პლატფორმად ჩამოაყალიბება შეძლებოდათ, თუმცა პარლამენტს გართი დარჩენილი წერილი პარტიები იმნიშვნელებს, ვისაც აღარც მიმასი სუფერა და არც გრძობა, კარგი შესაძლებლობა ეძლევათ, არჩევანი შეესა და თვისი შორის აღარ გააკეთონ. „ქსაშე პოლიტიკური ცენტრის“ იდეა თავის დროზე იმიტომ

ჩვენს საზოგადოებას დამოუკიდებლობის ხანგრძლივი გამოცდილება არ გააჩნია. ამიტომ ის სწორედ მესხსებებით ცხოვრობს, ანუ „ნარსულს ქვეით“ არის დაკავებული. გარკვეული მდგომარეობის კომპენსირებას სწორედ ნარსულზე კონცენტრირებით ახდენს. ასეთ დროს დამოუკიდებლობის დედა „ფინფელო“ ისტორიის შესხვებებს შეესა, უფრო ზუსტად — ისტორიის გაცოცხლების პროცესს. ■



# ბიზნესის გამსხვილებაზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემა

დათო გამისონია

„არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე, ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა“, – ძნელია, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის ჩანაწერის განსხვავებული ინტერპრეტაცია შეძლო. კონსტიტუცია დაცვის მყარ გარანტიას გვთავაზობს. რეალურ ცხოვრებაში კი, როდესაც საქმე პირის სხვა მფლობელობას, მაგალითად, საწარმოს ეხება, კონსტიტუციიდან ციტირებული სიტყვები არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს.

ბიზნესმენმა იცის, რომ მის საწარმოში ნებისმიერ დროს შეიძლება გამოჩნდეს საგადასახადო ორგანოს ინსპექტორი, აწარმოოს რევიზია, ინვენტარიზაცია, საკონტროლო შესყიდვა და არც არის ვალდებული, მფლობელს მოსამართლის ბრძანება წარუდგინოს. „ლიბერალის“ შეკითხვებზე ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ წერილობით პასუხში ვკითხულობთ, რომ საგადასახადო ორგანო საგადასახადო შემონმებას – გადასახადებისა და მოსაკრებლების კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით გააზღვრის სისწორის მიზნით ახორციელებს

მოსამართლის ბრძანების გარეშე. საგადასახადო შემონმება საგადასახადო ორგანოს დისკრეციული უფლებაა და მას ავალდებულებს საქართველოს საგადასახადო კოდექსი (მუხლი 255).

კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით სადავო ნორმები საქართველოს საგადასახადო კოდექსის ხარვეზების მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენს. მთლიანობაში ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება იმის დასადასტურებლად, რომ მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ხელს არ უწყობს საქართველოში ბიზნესის განვითარებას. აუდიტორი ირაკლი შავიშვილი „ლიბერალთან“ საუბარში აცხადებს, რომ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ქვეყანაში განვითარებას მოელოდა, თუმცა, ამჟამად დადებით მოვლენად მხოლოდ ბიზნესზე ძალისმიერი წნეხის მოხსნა მიაჩნია. „ბოლო წლებში აღარ გამიგია შემთხვევები, როდესაც მენარმეს ციხეში ორი თვით სვამენ, შემდეგ ფულს ართმევენ და უშვებენ, რაც კარგია“, – აცხადებს ირაკლი შავიშვილი. სხვა მხრივ, საგადასახადო კანონმდებლობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, პოზიტიურ ცვლილებებს ვერ ხედავს.

აუდიტორის შეფასებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსი იურიდიუ-

■ **ზოგადად, საგადასახადო კანონმდებლობისა და ორგანოს მიზანი გადასახადების შეგროვება და არა დაჯარიმება. ირაკლი შავიშვილის თქმით კი, საგადასახადო კოდექსი აგებულია იმაზე, როგორ გამოიჭირონ და დააჯარიმონ გადამხდელი.**

ლი, ეკონომიკური, კონსტიტუციასთან შესაბამისობისა და ენობრივი თვალსაზრისითაც უვარგისი დოკუმენტია, მისი ბევრი ნორმა არაერთგვაროვანი გაგების საშუალებას იძლევა. შავიშვილის თქმით, საქართველოს ახალი კოდექსის მიღება სჭირდება. იგი ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად კოდექსისა და ზოგადად საგადასახადო კანონმდებლობის არასტაბილურობას მიიჩნევს. „ნორმები წარამარა იცვლება. ფაქტობრივად, თვეში ერთხელ მაინც, მასში ცვლილებები შედის, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიზნესს საქმიანობის გრძელვადიანად დაგეგმვის საშუალება არ აქვს“.

ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ საგადასახადო კოდექსში ყველა საკანონმდებლო ცვლილება ბიზნესთან კონსულტაციის გზით, მათი წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით არის მიღებული.

განსხვავებულ შთაბეჭდილებას ქმნის, დეკლარირებულად ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა მთავრობის პირობებში შემოღებული დაბეგვრის სხვადასხვა რეჟიმი: მოქმედებს მიკრობიზნესისა და მცირე ბიზნესის სტატუსები, ფიქსირებული გადასახადი, ამასთან საცხოვრებელი ბინის გაქირავებაზე გადასახადი 5%-მდე შემცირდა.

„ასეთი საგადასახადო რეჟიმების მიზანია, ბიუჯეტისთვის ხალხისგან როგორმე რაღაც ამოიღონ. ამას სჯობს, გადასახადები შეამცირონ და ყველა ერთნაირ რეჟიმში ჩააყენონ. რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანი ბინას საცხოვრებელი მიზნით აქირავებს თუ კომერციული? მაგრამ, ამის მიხედვით გაქირავებელი ან 5%-ს იხდის, ან – 20%-ს. ლოგიკა ხომ უნდა არსებობდეს. მაინცდამაინც თუ ასეთი დიფერენცია ცია გვინდა და ამავდროულად მენარმეობის განვითარებაზე ვლაპარაკობთ, პირიქით უნდა იყოს. კომერციული მიზნით, როცა აქირავებს, 5%-ს უნდა იხდიდეს“, – ამბობს შავიშვილი.

ქვეყანაში, როდესაც დამატებული

ღირებულების გადასახადი მოქმედებს, ეკონომიკის ასეთ სეგმენტაციას და შეღავათებს გაუმართლებლად მიიჩნევს ირაკლი შავიშვილი. როგორც ის განმარტავს, დღე ისეთი უცნაური გადასახადია, რაც უფრო მეტს გაათავისუფლებს ამ გადასახადიდან, ბიუჯეტში მით უფრო მეტი შედის. ამიტომ, საგადასახადო კოდექსში გათავისუფლების ყველაზე მეტი მაჩვენებელი დღეს აქვს, რადგან შედეგად ბიუჯეტში მეტი თანხა შედის და არა იმიტომ, რომ მთავრობა ბიზნესზე ზრუნავს. „ყველა რომ იხდიდეს დღეს და გათავისუფლება რაც შეიძლება მინიმალური იყოს, ბევრად უკეთესი მდგომარეობა გვექნებოდა ეკონომიკაში“, – ამბობს აუდიტორი.

პრობლემურ საკითხად რჩება საგადასახადო ორგანოების გაზრდილი უფლებამოსილებები. ზოგადად, საგადასახადო კანონმდებლობისა და ორგანოს მიზანი გადასახადების შეგროვებაა და არა დაჯარიმება. ირაკლი შავიშვილის თქმით კი, საგადასახადო კოდექსი აგებულია იმაზე, როგორ გამოიჭირონ და დააჯარიმონ გადამხდელი. მაგალითად, შემოსემების დაწყებისას გადასახადის გადამხდელს წინა პერიოდის დეკლარაციების დაზუსტება ეკრძალება.

„თითქოს ლოგიკურია, თუ რამის დაზუსტება გინდოდა, აქამდე გაგეკეთებინა. ახლა შემოვედი და რაზეც დაგიჭერ, დაგაჯარიმებ. სხვა კუთხით რომ შევხედოთ, გადამხდელმა მონაცემები რომ დააზუსტოს, ამით რა შავდება?! ამაზე გვეტყვიან, რომ იქ კორუფციის შესაძლებლობაა, შეიძლება, საგადასახადო ინსპექტორი გაურიგდეს, ფული აიღოს და დეკლარაცია დააზუსტებინოს. ეს ხელისუფლების პრობლემაა და არა გადამხდელის. ჩემი აზრით, მონაცემების დაგვიანებით შევსებისთვის შეიძლება, გადამხდელი დაჯარიმდეს, მაგრამ დეკლარაციის დაზუსტება საერთოდ რომ ეკრძალება, სწორი არ არის. იმიტომ, რომ ხანდახან დეკლარაციას აზუსტებენ, როგორც მანამდე გა-

დახდილი გადასახადის გაზრდის, ასევე შემცირების კუთხით. გამოდის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ბიზნესმა ზედმეტი უნდა გადაიხადოს“, – განმარტავს ირაკლი შავიშვილი.

პრობლემური საკითხია, ასევე ის, რომ ზედნადების გამონერა მხოლოდ ელექტრონულად არის დასაშვები, ხოლო ნებისმიერ ოპერაციაზე მისი ელექტრონულად გამონერა შეუძლებელია. „ასეთ შემთხვევაში ამბობენ, მაშინ არ გაყიდო საქონელიო! აბა რისთვის შემოვიტანე?! საქონელი არ შემომიტანია იმისთვის, რომ ზედნადებით გავყიდო, არამედ იმისთვის, რომ გავყიდო. ბიზნესს ბიუჯეტის შესავსებად არ ვინყებ, ბიზნესი იმიტომ მაქვს, რომ მოგება მივიღო. მენარმეთა შესახებ კანონშიც კი ასე წერია – მენარმეობის ერთადერთი მიზანი მოგების მიღებაა“, – ამბობს ირაკლი შავიშვილი.

აუდიტორის თქმით, როდესაც ბიზნესს ბარიერები ექმნება, ეს უკვე ქვეყნისთვის არის პრობლემა. „თითქოს დიდი ამბავი, ვილაც გააჩერეს და 500 ლარით დააჯარიმეს, მაგრამ ასეთი ათასობით შემთხვევაა, რაც ბიზნესისთვის უვარგის გარემოს ქმნის“, – მიიჩნევს აუდიტორი და გვახსენებს, – „ერთადერთი სუბიექტი, რომელიც ქვეყანაში დოვლათს ქმნის, არის მენარმე. ყველა დანარჩენი ამ დოვლათს ინაწილებს“.

საგადასახადო კოდექსში გვხვდება პარადოქსული მუხლი სათაურით: „სხვა ჯარიმები“. კოდექსის მიხედვით, რაღაც ქმედებაზე პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია, მაგრამ მასზე ჯარიმის ოდენობა განსაზღვრული არ არის, ეს 100 ლარით ჯარიმდება. „ამით გადასახადის გადამხდელის მიმართ კანონმდებლის დამოკიდებულებაა გამოხატული: იცი რა, მე ყველაფრის ჩამოთვლა მეზარება, მაგრამ რაზეც დაგიჭერ, ყველაფერზე დაგაჯარიმებ“, – აცხადებს შავიშვილი.

საგასადასახადო კანონმდებლობისა და პრაქტიკის შედეგებზე საუბრისას,

ირაკლი შავიშვილი ასეთ დასკვნას აკეთებს: „მთავარი საფრთხე ის არის, რომ ბიზნესი აღარ გვაქვს“.

### მთავროვის ინიციატივები

პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ინიციატივა, რომელიც კორექტირების შედეგად 2017 წლის 1 იანვრიდან უნდა შევიდეს ძალაში, მოგების 15%-იანი გადასახადის გადახდას მხოლოდ მისი განაწილების შემთხვევაში ითვალისწინებს. ერთი შეხედვით, ბიზნესის ხელშეწყობისთვის მომზადებული ინიციატივა, შესაძლოა, მცირე და საშუალო ბიზნესს დამატებით ტვირთად დაანევს. საქმე ისაა, რომ წვრილ ბიზნესს დივიდენდიდან უფრო მეტის გადახდა მოუწევს, რადგან მოგების დაანგარიშებისას წინა წლების ზარალი არ იქნება გათვალისწინებული.

„პრემიერ-მინისტრის ინიციატივები მსხვილ ბიზნესს აწყობს“, – ამბობს ირაკლი შავიშვილი, – „წვრილმა ბიზნესმა დივიდენდი მთლიანად რომ არ წაიღოს, მაშინ მის ბიზნესს აზრი არ აქვს, რადგან მოგებით მიღებული თანხა მცირეა. მსხვილ ბიზნესს ეს მოგება მთლიანად არასდროს მიაქვს, იმიტომ, რომ მოგების ნაწილის კაპიტალიზება ხდება. მათ შეიძლება, მოგების 30-40% გაანაწილონ, ამიტომ მსხვილი ბიზნესისთვის ცვლილებით გადასახადი მცირდება, წვრილი ბიზნესისთვის კი – იზრდება. ანუ ეს ეკონომიკური სუბიექტების მონოპოლიზებისკენ კიდევ ერთი ნაბიჯია“.

ეკონომიკაში მსხვილი და წვრილი სანარმოების ნილობრივ მონაცემებზე დაკვირვება საქართველოს ეკონომიკის განვითარების გეზს ნათლად წარმოაჩენს. აუდიტორის, ირაკლი შავიშვილის მონაცემებით, 2000 წელს მსხვილი ბიზნესი ეკონომიკის ორ მესამედს ქმნიდა, ხოლო ერთ მესამედს საშუალო და წვრილი ბიზნესი შეადგენდა. 2011 წლისთვის მსხვილი ბიზნესის წილი 86%-მდე გაიზარდა, მაშინ, როდესაც საშუალო და

წერილი ბიზნესი ეკონომიკის მხოლოდ 7-7%-ს ქმნიდა. ბიზნესის გამსხვილების ტენდენცია გრძელდება.

„ამას ხელი ეწყობა საგადასახადო კოდექსის საშუალებით. გადასახადი არის ქვეყანაში ბიზნესის წარმოების საფასური. თუ იგი მაღალია, წვილ მენარმეს გადახდა არ შეუძლია. ამიტომ გადასახადების ზრდა ყოველთვის მსხვილი ბიზნესის ინტერესშია, რადგან საშუალო და წვილი ბიზნესი უფრო ნაკლებმოსავლიანი ხდება და მსხვილ ბიზნესს კონკურენცია უმცირდება. ფაქტობრივად, ეკონომიკის მონოპოლიზება ხდება“, – აცხადებს შავიშვილი.

საქართველოს ყოფილი და მოქმედი ხელისუფლებისგან არაერთხელ გვსმენია ქვეყანაში დაბალი გადასახადების არსებობის შესახებ. ირაკლი შავიშვილს მიაჩნია, რომ განვითარების იმ დონისთვის, რომელზეც საქართველოა, აქ არსებული გადასახადები მაღალია.

ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით (და არა ტექნიკური შეიარაღებით) განვითარების იმ დონეზე, რომელზეც საქართველოა, აშშ 100-150 წლის წინათ იყო. მაშინ შეერთებულ შტატებში საშემოსავლო გადასახადი 1% იყო, მოგების გადასახადი (კორპორაციული საშემოსავლო გადასახადი) კი სხვადასხვა შტატში 1-დან 8 პროცენტამდე მერყეობდა. „ამერიკა იმიტომ გახდა ის, რაც არის, რომ ასეთი გადასახადები ჰქონდათ. საქართველოს მოქალაქეებისთვის, ვთქვათ, საშემოსავლო გადასახადში 20%-ის გადახდა მძიმეა“, – მიიჩნევს შავიშვილი.

### ოპოზიციის ხელვა

ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატიების“ წევრი, დავით ონოფრიშვილი „ლიბერალთან“ საუბარში იხსენებს, რომ პარტიამ ეკონომიკური განვითარების ხელვა, მათ შორის საგადასახადო სამსახურთან დაკავშირებული პრიორიტეტები, ჯერ კიდევ 2015 წლის ზაფხულში წარმოადგინა.

როგორც ონოფრიშვილი ამბობს, საგადასახადო ადმინისტრირება, საგადასახადო დისციპლინის შენარჩუნებას უნდა ემსახურობდეს და არა ბიუჯეტის ე.წ. ნაკლული თანხის ამოღებას.

ონოფრიშვილის თქმით, პარტიას მიაჩნია, რომ იმ სახით, როგორც დღეს არის, ფინანსური პოლიცია (ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური) უნდა გაუქმდეს და სხვა ტიპის საგამოძიებო სამსახური შეიქმნას, რომელიც ბოლო 10 წლის პრაქტიკას შეცვლის და მენარმეებს პარალელურ რეჟიმში არ შეამონებს. „მთელი პრობლემა ისაა, რომ საგადასახადო სამსახურს კანონით ეხება საგადასახადო შემონება, პარალელურ რეჟიმში ამონება და ფინანსური პოლიცია. საგამოძიებო სამსახური მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჩაერთოს, როცა ჩვეულებრივი საგადასახადო შემონების დროს აღმოჩნდება გარკვეული ეჭვი, ან აშკარა ნიშნები, რომ ჩადენილია სისხლის სამართლის დანაშაული“, – აცხადებს ონოფრიშვილი.

„თავისუფალი დემოკრატიები“, ასევე აყენებენ გადასახადის შეცდომით არასწორად გადახდის დეკრიმინალიზაციის საკითხს, რაც ხშირად ბუღალტრულ დონეზე ხდება და ამის გამო ადამიანები ხშირად სასჯელს იხდიან. ონოფრიშვილის თქმით, ასეთ საქმეებზე ბევრ ქვეყანაში ჯარიმის მექანიზმი მოქმედებს, რაც პარტიისთვის მისაღებია.

„მიგვაჩნია, რომ, როგორც საგადასახადო, ისე ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია გონივრულ ფარგლებში უნდა გავატაროთ. არ შეიძლება, უმნიშვნელო საქმეზე ადამიანი სასჯელს იხდიდეს“, – ამბობს დავით ონოფრიშვილი.

„თავისუფალმა დემოკრატიებმა“ ჯერ კიდევ 2015 წლის ზაფხულში წარმოადგინეს მხოლოდ განაწილებული მოგების დაბეგვრის ინიციატივა (ე.წ. ესტონური

მოდელი). „ახალმა პრემიერმა პირდაპირ განაცხადა, რომ ჩვენი ინიციატივიდან 2-3 პუნქტის განხორციელებას თვითონაც აპირებს“, – თქვა დავით ონოფრიშვილმა.

პარტიას ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციის თვალსაზრისითაც აქვს ინიციატივები, თუმცა ისინი რამდენიმეს გარდა, მუხლების სრულად გაუქმებას საჭიროდ არ მიიჩნევენ. „არის მუხლი უკანონო სამენარმეო საქმიანობა (მუხლი 192), რომელიც რეალურად არ მოქმედებს. პრაქტიკაში მისი გამოყენების მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო. უკანონო სამენარმეო საქმიანობა ცოტა გაუგებარი ცნებაა. კოდექსში განმარტებულია, რომ ეს არის სამენარმეო საქმიანობა რეგისტრაციის, ან ლიცენზიის გარეშე, ან სალიცენზიო პირობის დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. რა სახის ზიანი უნდა იყოს, რომ ამის გამო ადამიანი ციხეში გაუშვა?!“, – აღნიშნავს ონოფრიშვილი.

მათი ინიციატივა ასევე ეხება სამენარმეო საქმიანობისთვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებისას სანქციის შემსუბუქებას. „დღევანდელი მდგომარეობით, თუ ზედნადები არ აქვს, მოქმედებს ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე. ამავე დროს დიდ ოდენობად მიიჩნევა მისაწოდებელი თანხა 10 000 ლარი. განსაკუთრებით დიდ ოდენობად კი – 25 000 ლარი. დღევანდელ პირობებში ეს მცირე რაოდენობაა იმისათვის, რომ ადამიანი ციხეში გაუშვა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ პასუხისმგებლობა კი არ გაუქმდეს, არამედ ზღვარი გაიზარდოს 25 000 ლარამდე, ხოლო განსაკუთრებით დიდ ოდენობად 50 000 ლარი ჩაითვალოს. პირველ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ჯარიმით დაისჯება, ხოლო არაერთგზის ჩადენის შემთხვევაში – 2 წლამდე პატიმრობით“, – აცხადებს ონოფრიშვილი.

დავით ონოფრიშვილი მიიჩნევს, რომ მცირე და საშუალო სანარმოები უნდა იქცეს ეკონომიკისა და დასაქმების ზრდის მთავარ ლოკომოტივად. „შესაბამისად, გარდა საგადასახადო ადმინისტრირების წნეხის მოშორებისა, რაც მცირე სანარმოებს გაცილებით მეტად აზარალებს, ვიდრე დიდ კომპანიებს, აუცილებელია მცირე სანარმოების საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება. ფიქსირებული გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა გაიზრდება მცირე ბიზნესის საქმიანობის სახეების გაფართოების საფუძველზე. ასევე, საჭიროა ბრუნვაზე დაფუძნებული 3%-იანი გადასახადის დაწესება დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის გარეშე. აუცილებელია, მიკრობიზნესის სტატუსი მიენიჭოს ფიზიკურ პირებს, რომელთა ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება მინიმუმ 50 000 ლარს, ამჟამინდელი 30 000 ლარის ნაცვლად, რომელიც ძალზედ მცირე ზღვარია და ბევრი მენარმე ამ ზღვარს ისედაც სცდება“, – აცხადებს დავით ონოფრიშვილი.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი მიხეილ მაჭავარიანი „ლიბერალთან“ საუბარში ამბობს, რომ გამარჯვების შემთხვევაში, პარტია მოგების გადასახადის გაუქმებას აპირებს, რაც არ იქნება ის მოდელი, მთავრობამ რომ წარმოადგინა. გარდა ამისა, „ნაციონალური მოძრაობა“ აცხადებს, რომ სამემოსავლო გადასახადს 20-დან 15%-მდე შეამცირებს. ამასთანავე, უკვე პარლამენტშია ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებული კანონპროექტი, რომლის ავტორიც „ნაციონალური მოძრაობაა“.

მაჭავარიანის თქმით, იგი ითვალისწინებს ეკონომიკურ დანაშაულზე პატიმრობისა და ჯარიმების შემცირებას. „მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ის სფერო, რომლის მიმართაც გამკაცრებული მიდგომაა. 2000-იანი წლების დასაწყისში ეს აუცილებელი იყო და შედეგიც გამოიღო. ახლა მიგვაჩნია, რომ ის შესაძლებელია“, – ამბობს მაჭავარიანი. □

■ ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით (და არა ტექნიკური შეიარაღებით) განვითარების იმ დონეზე, რომელზეც საქართველოა, აშშ 100-150 წლის წინათ იყო. მაშინ შეერთებულ შტატებში სამემოსავლო გადასახადი 1% იყო, მოგების გადასახადი (კორპორაციული სამემოსავლო გადასახადი) კი სხვადასხვა შტატში 1-დან 8 პროცენტამდე მერყეობდა.

## სასჯელი ან მკურნალობა

ალბათ, ერთხელ მაინც გასმენიათ ისეთი შემთხვევის შესახებ, როცა რაიმე საქმეში ბრალდებული პირი სასამართლომ შეურაცხადად ცნო. როგორ ისმება ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზი და რა ბედი ეწევთ იმ ადამიანებს, ვისაც სასამართლო ციხის ნაცვლად იძულებითი მკურნალობისთვის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გზავნის, რა ხდება მაშინ, როცა ფსიქიკური პრობლემები უკვე მსჯავრდადებულ ადამიანს აღმოაჩნდება – ამ საკითხებს საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს, თუმცა, ადამიანური და მატერიალური რესურსის სიმწირის გამო, კანონმდებლობა ეფექტიანად ვერ აღსრულდება.

### ქეთევან ლეღაშვილი

2015 წლის 20 ივნისს არასრულწლოვანმა, გამოძიების ინფორმაციით, დედამისს ყელის არეში ბლაგვი საგნით ქროლობა მიაციენა, თვითონ კი მე-11 სართულდან გადახტომას შეეცადა. ის სამართალდამცველებმა დააკავეს. გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე დაიწყო, თუმცა სასამართლოს მიმდინარეობისას გაჩნდა ვარაუდი, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში არასრულწლოვანი შურაცხადი იყო. ექსპერტის შემდეგ ვარაუდი დაშკოცდა და სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა. სასამართლომ არასრულწლოვანს იძულებითი მკურნალობა დაუნიშნა და ის ზონში, ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში მოათავსეს.

ეს შემთხვევა მაგალითია იმისა, თუ რა ბედი ეწება პირს, რომელზეც გა-

მოძიების პროცესში დადგინდება, რომ მას შესაძლო დანაშაულის ჩადენისას ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობა ღრობითი ფსიქიკური აშლილობა ან სხვა ფსიქიკური დაავადება ჰქონდა, რის გამოც თავისი საქცილის გაცნობიერება არ შეუძლო. ასეთ დროს ალკეილის ლონისძიება უშედეგო და სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება.

ზოგჯერ, როცა ადამიანი ციხისა და ფსიქიატრიული დაწესებულების შესახებ არავფიქრებს, ციხე მისთვის უფრო მკაცრ პირობებსა და მძიმე მდგომარეობასთან ასოცირდება. შესაბამისად, ციხეში მოხვედრას იძულებითი მკურნალობა ურჩევნია. ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შეურაცხადობასთან დაკავშირებით მისი დიაგნოზი ზუსტად დაიდგინდეს.

„ფსიქიკური დახმარების შესახებ“



საქართველოს კანონის თანახმად, ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზი ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სტანდარტებით მტკიცდება. თუკი ბრალდებულთან დაკავშირებით ასეთი ეჭვი არსებობს, ადვოკატის ან პროკურორის შუამდგომლობით, ფსიქიატრიული ექსპერტის ან საექიმო ფსიქიატრიული კომისიის დასკვნის საფუძველზე, სასამართლომ პირს შე-

ძლება დაუნიშნოს დისპანსერული ფსიქიატრიული მკურნალობა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსება ჩვეულებრივი გაძლიერებული ან მკაცრი მეთვალყურეობით.

პაციენტს არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარება შეურაცხადობის კრიტერიუმების ამონურვამდე, მაქსიმუმ 4 წლის განმავლობაში გაეწევა. კომისიამ მისი მდგომარეობა

გარკვეული პერიოდებით უნდა შეამოწმოს და თუ მკურნალობის გაგრძელება საჭირო არ იქნება, მისი შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება სასამართლოს აცნობოს.

ალანონიშნავთ, რომ ერთადერთი დანესებულება საქართველოში, რომელიც ჩვეულებრივ მოქალაქეებსა და მსჯავრდებულებს/ბრალდებულებს იძულებით ფსიქიატრიულ სტაციონარულ დახმარებას უწევს,



„აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (ხონში). ის 1977 წელს ქუთაისის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ბაზაზე შეიქმნა და 700 პაციენტზეა გათვლილი. მათ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, ცენტრს ამჟამად 650-მდე პაციენტი ჰყავს. 2015 წლიდან მისი 95%-იანი წილის მფლობელი კომპანია „ბ & ნ“ გახდა.

„ლიბერალის“ ყველა თხოვნაზე, მოენახულებინა დაწესებულება, გასაუბრებოდა ხელმძღვანელ პირებს ან სულაც პასუხი მიელო მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა რაოდენობის, მათი საცხოვრებელი პირობებისა და სხვადასხვა ტექნიკური დეტალის შესახებ, ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, ცირა შვანგირაძემ უარი განაცხადა და მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ ამ კითხვებზე პასუხის მიღება მათ ვებგვერდზეა შესაძლებელი, თუმცა იქ მხოლოდ ზოგადი ინფორმაციაა განთავსებული, რაც ცენტრში არსებული ვითარების შესახებ მხოლოდ შეზღუდულ სურათს ქმნის.

თუმცა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის შესახებ მნიშვნელოვანი დეტალების გაგება სახალხო დამცველის ანგარიშებიდანაა შესაძლებელი. ომბუდსმენის ინფორმაციით, პენიტენციური დაწესებულებებიდან გადმოყვანილ და არანებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფ პაციენტებს ერთნაირი, მკაცრი რეჟიმის პირობებში, არადიფერენცირებული მიდგომით მკურნალობენ.

მიუხედავად ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციისა, რომ მათ მიერ შეთავაზებული სამკურნალო

პროგრამები და სერვისები რეაბილიტაცია-რესოციალიზაციას ემსახურება, ომბუდსმენის ანგარიშის თანახმად, იძულებით და არანებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტებისთვის ფსიქიატრიული დახმარება მხოლოდ ფარმაკოთერაპიას მოიცავს და ისინი რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისკენ მიმართულ პროგრამებში, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში ჩართულნი არ არიან.

ამასთან, 2014 წლის ანგარიშის თანახმად, ფორმალურია ის სამოქმედო გეგმაც, რომელიც პაციენტის ცენტრში მიყვანისას, ინდივიდუალურ - საჭიროებებზე დაყრდნობით დგება. შესაბამისად, არც მკურნალობისადმი ინდივიდუალური მიდგომა არსებობს და არც გუნდური, მულტიდისციპლინური მუშაობა.

ანგარიშის თანახმად, მონიტორინგის ჯგუფს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ პაციენტებთან ფსიქოსოციალური სარეაბილიტაციო მუშაობა, პრაქტიკულად, არ მიმდინარეობს და დღეები რამე საზრისის მქონე აქტივობით სტრუქტურირებული არ არის. ამასთან, ხშირია პაციენტთა შორის კონფლიქტი, აგრესიის მართვა კი დაშინებითა და ინექციებით ხდება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, განყოფილებაში არსებული პირობები და განუვლი დახმარება არ შეესაბამება პირის სტაციონარში მოთავსების მიზანს. ის, პრაქტიკულად, მხოლოდ ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტების იზოლირების საშუალებას წარმოადგენს.

„მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ სასამართლო-ფსიქიატრიულ განყოფილებაში მიძიმე პირობებია, არ არის უზრუნველყოფილი თერაპიული გარემო.

პაციენტები დღის განმავლობაში ჩაკეტილები არიან საკნის ტიპის პალატებში, სადაც არ არის დაცული პრივატულობა, არის ცუდი სანიტარული პირობები და ვენტილაცია. პაციენტები სასაქონოდ გაჰყავთ გისოსებით შემოსაზღვრულ ეზოში, რომელიც გალიას ჰგავს“.

პრევენციის ჯგუფის ანგარიში ჯერ კიდევ იმ პერიოდს მოიცავს, როცა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი სახელმწიფოს საკუთრებაში იყო. საინტერესოა, შეცვლის თუ არა ვითარებას კერძო კომპანია. პრესსამსახურის ინფორმაციით, ამჟამად ცენტრში გადანაცვლების პროცესი მიმდინარეობს. თუმცა არ განუმარტავს, რა იგულისხმება ამაში.

გარდა სამართალწარმოების ეტაპზე გამოკვეთილი შეურაცხადობისა, ცხადია, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა უკვე მსჯავრდადებულ ადამიანსაც შეიძლება გაუჩნდეს. ამის გამოვლენის ვალდებულება კი, გეგმური შემოწმებითა და დაწესებულების სხვა პერსონალისგან მიღებული ინფორმაციით, პენიტენციური სისტემის პირველადი ჯანდაცვის რგოლს აქვს. ამასთან, ყველა დაწესებულებაში მოქმედებს სუიციდის პრევენციის პროგრამა, რომელიც სუიციდის მცდელობისა და მომატებული რისკის შემთხვევაში ერთვება.

სასჯელალსრულების მინისტრის მრჩეველის, სოფიო მორგოშიას განმარტებით, მსჯავრდებულებთან/ბრალდებულებთან სოციალური მუშაობები და ფსიქოლოგები მუშაობენ, საჭიროების შემთხვევაში კი, პირის მკურნალობის პროცესში ფსიქიატრი ერთვება. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს/ბრალდებულს სტაციონარული მკურნალო-

ბა დასჭირდა და ამაზე თანახმაა, მაშინ მას მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა №18 სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ სტაციონარულ განყოფილებაში გადაიყვანენ.

თუმცა სოფიო მორგომიას ინფორმაციით, ზოგჯერ მძიმე მდგომარეობის ან ფსიქიკური აშლილობის მძიმე ფორმის გამო, პაციენტი მკურნალობის აუცილებლობას ვერ აცნობიერებს და ამაზე უარს აცხადებს. ასეთ დროს მისი არანებაყოფლობითი მკურნალობის საკითხი დგება და სასჯელალსრულების სამინისტროს ფსი-

ქიატრიული კომისიის დასკვნის საფუძველზე, დაწესებულების დირექტორი საექსპერტო დაწესებულებას მიმართავს. არანებაყოფლობითი სტაციონარული მკურნალობის საჭიროების დადასტურებისას სასამართლო პირს სამკურნალოდ „აკად. ბ. ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“ გზავნი. გამოჯანმრთელების შემდეგ კი ჩვეულებრივი წესით აგრძელებს სასჯელის მოხდას.

რაც შეეხება ფსიქიკური პრობლემების მქონე იმ პირებს, ვინც პენიტენციურ სისტემაში ნებაყოფლობით მკურნალობდა, სასჯელის მოხდის ადგილზე დაბრუნების შემდეგ მათ სამინისტრო კოგნიტიური და სოციალური უნარების განვითარების, ბრაზის მართვის, პოზიტიური აზროვნებისა და სტრესის დაძლევის სარეაბილიტაციო პროგრამებს, არტთერაპიას, მუსიკათერაპიასა და ბიბლიოთერაპიას სთავაზობს. მათში

მსჯავრდებულები/ბრალდებულები მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების შემდეგ ერთვებიან.

თუმცა ამ შემთხვევაში პრობლემას არა სერვისების, არამედ ადამიანური რესურსის ნაკლებობა



**■ 2014 წლის ანგარიშის თანახმად, ფორმალურია ის სამოქმედო გეგმაც, რომელიც პაციენტის ცენტრში მიყვანისას, ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაყრდნობით დგება. შესაბამისად, არც მკურნალობისადმი ინდივიდუალური მიდგომა არსებობს და არც გუნდური, მულტიდისციპლინური მუშაობა.**

წარმოადგენს. სახალხო დამცველი 2011 წლის მონაცემებზე დაყრდნობით ამბობს, რომ თუკი 100 000 მოსახლეზე საშუალო ევროპული ინდექსით 22,2 ფსიქოლოგი მოდის,

საქართველოში ეს მაჩვენებელი 12,8-ია. ფსიქიატრის შემთხვევაში – 6,68, ნაცვლად 11-სა, ხოლო სოციალური მუშაკი – 2,9, ნაცვლად 60-ისა.

ადამიანური რესურსის სიმწირეზე საუბრობს ფონდის „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ პროექტების მენეჯერი ქეთი ფილაური. მისი თქმით, დაახლოებით 10 000 პატიმარზე ჯამში 200 სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი გვყავს, რაც არასაკმარისია. ამასთან, მისი შეფასებით, სწორია მსჯავრდებულთათვის/ბრალდებულთათვის შეთავაზებული პროგრამების მიმართულება, მაგრამ არ არსებობს სპეციალიზებული პროგრამები, ვთქვათ, პიროვნული აშლილობებისთვის.

თუმცა სასჯელალსრულების მინისტრის მრჩეველი სოფიო მორგომია მიიჩნევს, რომ ფსიქოლოგთა და სოციალურ მუშაკთა დღეს არსებული რესურსი საკმარისია. მისი ინფორმაციით, პენიტენციურ სისტემაში სულ 31 ფსიქოლოგია, რომლებიც დაწესებულებებში მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა რაოდენობისა და მოწყვლადი ჯგუფების მიხედვითაა განაწილებული. მაგალითად, არასრულწლოვანთა დაწესებულებას 3 ფსიქოლოგი ჰყავს, ქალთა დაწესებულებას – 2. ზოგადად კი, ჩვეულებრივ დაწესებულებაში 500 ადამიანზე 1 ფსიქოლოგი მოდის.

მისთვის დღეს გამოწვევად ორმაგი დიაგნოზები და პიროვნული აშლილობები რჩება. მისი შეფასებით, მათი მართვა დაწესებულებაში საკმაოდ რთულია.

„ჩვენი სამინისტროს ინიცირებით, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ჯანდაცვის სამინისტროსა და დარგის ექსპერტებთან ერთად შემუშავდა შემდეგი გაიდლაინები: ანტისოციალური პიროვნული აშლილობების მართვა და მკურნალობა; მოსაზღვრე პიროვნული აშლილობების მართვა და მკურნალობა. ისინი უკვე მზადაა, ფსიქიატრთა ასოციაცია აღნიშნულ გაიდლაინებს ოფიციალურად წარადგენს ჯანდაცვის სამინისტროში და როგორც კი ბრძანებით დამტკიცდება, მათი გამოყენება შეგვეძლება“.

სოფიო მორგომიას თქმით, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა რაოდენობა ცოტა ნამდვილად არ არის, მაგრამ ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა, ორმაგი დიაგნოზების გამო, შეუძლებელია.



„მე და ჩემი ემოცია“  
კერამიკური პლასტელინი

მინისტრის მრჩეველის ინფორმაციით, გამოვლენილ ფსიქიკურ პრობლემებს შორის ყველაზე აქტიურად სამი დიაგნოზია გამოხატული: ფსიქოაქტიური ნივთიერებებით განპირობებული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები – 31%, ფიზიოლოგიური და ფიზიკური დარღვევებით გამოწვეული ქცევის პათოლოგია – 23% და პიროვნული და ქცევითი დარღვევები – 23%.

სრული გამოჯანმრთელები-სა და საზოგადოების უსაფრთხოების დასაცავად ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა გათავისუფლების შემდეგაც უნდა გაგრძელდეს. თუმცა სახელმწიფოს ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისთვის არც ისე ბევრი რესურსი აქვს. ერთადერთი, ვისაც გათავისუფლებული პირებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამების შეთავაზება შეუძლია, იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრია. ამ დროისათვის ცენტრის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამას მხოლოდ ორი ფსიქოლოგი ჰყავს, რაც წარსულში (2012 წლის მერე) გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა რაოდენობის გათვალისწინებით არასაკმარისია.

ცენტრის ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის სამმართველოს უფროსის ნინო ბისეიშვილის ინფორმაციით, მარტის ბოლოს მდგომარეობით პროგრამაში 412 ბენეფიციარი იყო ჩართული. 2015-2016 წლებში (25 მარტის მონაცემებით) ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის მომსახურებით 100-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. დღეის მდგომარეობით, ბენეფიციართა ნაწილს სხვადასხვა საჭიროება და ჩივილი აქვს.

„ვხვდებით ნერვულ, პანიკურ შფოთვით აშლილობებს, დეპრესიას, რომელიც ზოგჯერ კლინიკურ დეპრესიაშია გადასული. არსებობს შემთხვევები, როდესაც ცენტრის ფსიქოლოგთან მისულ ბენეფიციარს აქვს შფოთვა, სხვადასხვა ასოციაცია, შიში, გუნება-განწყობის, ძილის, მადის მკვეთრად გამოხატული ცვლილება და ა.შ. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბენეფიციარებთან თავდაპირველად ცენტრის ფსიქოლოგი მუშაობს, შემდეგ კი, საქმის სირთულიდან გამომდინარე, პროცესში შესაბამისი სპეციალისტები ერთვებიან“, – აღნიშნავს ნინო ბისეიშვილი „ლიბერალთან“ საუბრისას.

მისი ინფორმაციით, 2013-2014 წლებში პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა დიდ ნაწილს სპეციალისტების ჩართვა და სტაციონარული მკურნალობა ესაჭიროებოდა, ამისთვის კი მათი თანხმობა იყო საჭირო, თუმცა ვითარებას ართულებს ის, რომ ზოგჯერ ბენეფიციარებს თავიანთი მდგომარეობის სირთულე გაცნობიერებული არ აქვთ, ამიტომ ფსიქოლოგთან ან ფსიქიატრთან გადამისამართებაზე უარს აცხადებენ. ბისეიშვილის თქმით, რიგ შემთხვევებში მათ გარკვეული შიშისა

და უნდობლობის განცდაც აქვთ, რაც არცთუ შორეული წარსულის არასასიამოვნო მოგონებებსა და გამოცდილებასთან არის დაკავშირებული. ასეთი დამოკიდებულების გასაქარწყლებლად სოციალურ მუშაკებს ზოგჯერ რამდენიმე თვე სჭირდებათ.

ცენტრში მოსულ ბენეფიციარს სოციალური მუშაკი სხვადასხვა კრიტერიუმით აფასებს, სწორედ ამ დროს დგინდება, აქვს თუ არა მას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა და სჭირდება თუ არა სპეციალისტის დახმარება. არის შემთხვევები, როცა ბენეფიციარი თავის პრობლემებზე თავადვე საუბრობს.

ნინო ბისეიშვილისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა ყოფილ მსჯავრდებულთა უფასო გამოკვლევების პროგრამებია. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრი არასამთავრობო და სამთავრობო უწყებებთან აქტიურად თანამშრომლობს, ჯანმრთელობის უფასო სერვისების მომწოდებელი ორგანიზაციები ცოტაა, საჭიროება – დიდი, რეაბილიტაციისას კი პროცესის უწყვეტობა ძალიან მნიშვნელოვანია.

სამმართველოს უფროსის განმარტებით, მათი ბენეფიციარები, როგორც თავად ამბობენ, წლების განმავლობაში დიდი რაოდენობით, არადანიშნულებისამებრ, დოზების დაუცველად იღებდნენ ფსიქოტროპულ საშუალებებს. ხშირ შემთხვევაში მიზანი შფოთვისა და შიშის მოხსნა იყო. ხანგრძლივი დროით ამ საშუალებების მიღებამ დამოკიდებულება და ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემის ჩამოყალიბება გამოიწვია.

გარდა ამისა, ფსიქიკური პრობლემების მიზეზი შეიძლება პენიტენციური სტრესი, მისი გავლენა

და წამების ფაქტები იყოს. ეს ყველაფერი კი ღრმა კვალს ტოვებს მათში და გათავისუფლების შემდეგ საზოგადოებაში მათ ინტეგრირებას ართულებს. ბისეიშვილის თქმით, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის დროული დახმარება და პროცესში ყველა საჭირო სპეციალისტის ჩართვა ძალიან მნიშვნელოვანია. მისი შეფასებით, თუ

**■ სახელმწიფოს**  
**მნიშვნელოვან**  
**გამოწვევას უწოდებს**  
**ქეთი ფილაური ყოფილ**  
**მსჯავრდებულთა ფსიქიკურ**  
**ჯანმრთელობაზე ზრუნვას.**  
**ფონდის „გლობალური**  
**ინიციატივა ფსიქიატრიაში“**  
**პროექტების მართვის**  
**მენეჯერი მიიჩნევს, რომ ამ**  
**ადამიანებისთვის საჭირო**  
**სერვისების მიწოდება**  
**სახელმწიფოს ინტერესებში**  
**უნდა შედიოდეს, რათა მათ**  
**დანაშაული აღარ ჩაიდინონ**  
**და საზოგადოებას ან თავს**  
**საფრთხე არ შეუქმნან.**


ადამიანის ფსიქიკა არასტაბილურია, მას ცხოვრებისეულ გამოწვევებთან წარმატებით გამკლავება ძალიან გაუჭირდება.

„მატერიალური სიდუხჭირის გამო, ჩვენი ბენეფიციარების უმეტესობას მინიმალური ხარჯის გაღებაც არ შეუძლია და თუ ჩვენს პროგრამაში არ ჩაერთო, პრო-

ბლემებს დამოუკიდებლად ვერ მოაგვარებს. დანაშაულის პრევენციის ცენტრი პროგრამის თითოეულ ბენეფიციარს და მისი ოჯახის წევრებს უფასოდ სთავაზობს ყველა მომსახურებას“.

რა შედეგი შეიძლება მოიტანოს დროულმა დახმარებამ, ამას დანაშაულის პრევენციის ცენტრის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ბენეფიციარების წარმატებული მაგალითები მეტყველებს. ნინო ბისეიშვილის განმარტებით, გამოჯანმრთელების ვადა და გასავლელი გზა ყველასთვის ინდივიდუალურია, მაგრამ მათმა ბენეფიციარებმა მოახერხეს და ძალიან რთული მდგომარეობის შემდეგ ფეხზე დადგომა შეძლეს.

სახელმწიფოს მნიშვნელოვან გამოწვევას უწოდებს ქეთი ფილაური ყოფილ მსჯავრდებულთა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვას. ფონდის „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“ პროექტების მართვის მენეჯერი მიიჩნევს, რომ ამ ადამიანებისთვის საჭირო სერვისების მიწოდება სახელმწიფოს ინტერესებში უნდა შედიოდეს, რათა მათ დანაშაული აღარ ჩაიდინონ და საზოგადოებას ან თავს საფრთხე არ შეუქმნან.

სახალხო დამცველის ანგარიშში მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, იძულებითი/არანებაყოფლობითი მკურნალობა არა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემაზე ზრუნვა, არამედ ციხეში ყოფნაზე უფრო დიდი სასჯელია. მსჯავრდებული უკეთეს მდგომარეობაში არც გათავისუფლების შემდეგ იქნება, რადგან მწირი სახელმწიფო რესურსიდან გამომდინარე, მას შესაძლოა თავად მოუწიოს თავის ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ეს კი მატერიალურ სახსრებთანაა დაკავშირებული, რაც ამ პირებს ხშირად არ აქვთ. 

# ხედი ფანჯრიდან – „ცოფის გორები“

ტყიბულის შესასვლელში, ბარათაშვილის ქუჩის მარჯვენა მხარეს წლებია, ქვანახშირის გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების გორები დგას. „ჯი-აი-ჯი ჯგუფი“, რომელიც ქალაქში შახტებს ამუშავებს, ნარჩენს იქვე, მეორადი გადამუშავების მიზნით აგროვებს. დღითი დღე ეს გორები მაღლდება და ფართოვდება. მისგან სულ რაღაც 100 მეტრში დასახლებული პუნქტია, იქვე – საბავშვო სკვერი და კორპუსები. აქაურები ნარჩენებს „ცოფის გორებს“ ეძახიან, რადგან ისინი ატმოსფერულ ჰაერს, წიდავსა და წყალს აბინძურებს. თუმცა ზუსტად რა საფრთხეს უქმნის ის გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობას, არ ვიცით. ტყიბულში ამასთან დაკავშირებით არანაირი კვლევა არ უნარმოებიათ. მოსახლეობა ნარჩენების იქ მოგროვებას წლებია აპროტესტებს და კომპანიას მის ქალაქგარეთ გატანას სთხოვს. ჯერჯერობით უცნობია, როდის იცხოვრებენ ბარათაშვილის ქუჩის მოსახლეები წინ აღმართული ქვანახშირის ნარჩენების გარეშე.

## სოფო აფციაური, ბასტი მგალობლიშვილი



ტყიბული. ბარათაშვილის ქუჩა უკვე გაზაფხულია. თბილა. მცბო-რებლები ეზოში არან გამოსულეტი. დღრმომან ლოსაბროფე შოლოძულს ნ წლის სალომეს სკვერში ასივრებს. სალომე მეგობრებთან ერთად ერთი სასრალოდან მეორისკენ მოუფენ-რად დარბის. ბაბუა იქვე სკამიდან უფრებს. სკვერის უკან უნარმარჩარი შავი გორები მოჩანს. ეს ქვანახშირის



გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენებია. 2006 წლიდან საქანა-შირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი) ტყიბულში შახტებს ამუშავებს და იქიდან ქვანახ-შირს ეზიდება. ბარათაშვილის ქუჩაზე ე.წ. სანაყაროზე ქვანახშირის გადამუ-შავებისგან დარჩენილ მასას საბჭოთა პეროლიდან აგროვებდნენ. ამ ტრა-დიცას დღეს „ჯი-აი-ჯი“ ჯგუფიც აგრძელებს. საბავშვო სკვერიდან 100

მეტრში დაახლოებით 9 ჰექტარ მინა-ზე დაფრუებული ნარჩენი ქარინ აბინძობს მტვერდება და, როგორც აფ-გილობრეები ამბობენ, მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ბაბუამ სალომე სულ რამდენიმე წელია, რაც ეზოში ჩამოიფენა, საქა-ნელაზე დღევალდ მტერისგან ვარ-დისდგვიო კაბა სულ გამაღებული აქვს. სკვერის გასწვრივ რუბი ფერის სა-

ცხოვრებელი კორპუსები დგას. მათი ფანჯრებიდან პირდაპირ მოჩანს „ცო-ფის გორები“. საბჭოში გაჩერება ნარმოუდგე-ნელია. ჩაკეტულ სოცრეები მტვერი უფრო შესამწვრია. შებეფო, მო-წესრიგებულ, გამწვანებული სკვერი გვაქვს. ბავშვები თამაშობენ. ერთი შებეფოთ, კარგი გარემოა. უკან კო-დეე ახელა შავი მასა. ორი წრთივ

რომ ითამაშონ, ეგრევე უშავდებოთ ტანსაცმელი და ხელები“, – ამბობს სალომეს ბაბუა და ბავშვის გაშავებულ ხელებს გვაჩვენებს.

ჰიგსის ბოზონი, პირველად დედამიწაზე 2012 წელს, ბოლო ელემენტარული ნაწილაკია, რომლის დედამიწაზეც გვიდა ნილად როგორც ჰიგსის აღმოჩენის, მისი აღმოჩენა ნაწილაკების ფიზიკის სტანდარტული მოდელის საბოლოო ტრიუმფია. თუმცა, არსებობს ბერერ მნიშვნელოვანი, რომ სტანდარტული მოდელი ამ ნარმადაგენს სამყაროს სრულ თეორიას (მაგალითად, იგი არ მოიცავს/



სათანადოვე ვერ აღწერს გრავიტაციულ ურთიერთქმედებებს, ერთ-ერთი ასეთი მინიმუმად ჰიგსის მასის სიძირევა გარკვეული ტექნიკური მოთხოვნები გამოიმდგომრე, ჰიგსის არსებობა იყო იდეო „მწიკდი“, როგორცაა მას გადკორცხვითა, თუკი ინდენ მალე ეწერებზედგებია, იმისა ნაწილაკები არ არსებობს, რომელიც ჰიგსის მასის დასტაბილურებს“ ეფუძეს აგურ. ეს უკანასკნელი ცნობილია, როგორც „სურათის“, არ პუნქტირობის პრობლემა“. მაშინ, როდესაც აღნიშნული პრობლემა არა თეორიის სტრუქტურული გამართობის შედეგი, მეცნიერების დიდი ნაწილი მათეც საცხოვე სერობულად დატყობას.

ბუნებრიობის პრობლემაზე ინტერესის შესაქმნელად ნარმადაგენით, რომ შედარებით კამიბებში და საწარტრე მადგენზე ხდებოდა ფანტაზი, რომელიც ნერვზედგას ეურტაკლარ მდგომარეობაში. მაშინ, როდესაც ფანტაზის ამეგარ სტაბილური მდგომარეობა ფიგის არ ერთი კანონით არ არს გამორჩეულად აღნიშნული სერათის ხილვისას თქვენი

პირველი რეცეპია მანცე ეფია. ცდილობი, აღმოსაჩენი შექნასიზი, რომელიც დედამიწაზე აკვებებს ხომ არაა იგი მიმხმელი წერილი, უფლები ძაფი ქმრათნ? ხომ არაა მიწებულა მადიდასე?

ჰიგსის მეცნიერების მეცნიერების უზრუნველსობის სწორედ მწერის ურტაკლარად მდგომი ფანტაზია. ამიტომ, პროვინციული ნაწილაკების ფიზიკისთვის საყოველთაო ჰიგსის აღმოჩენის შედეგი და რადგან ჰიგსის არსებობა 70-იანი წლებიდან მოყოლებული ციხის თუ ცანრეზოდა ექვე - ბერადე უფრო მანძილებს არს რომელიც იმ ურტაკლარ მადგენს“ ტება, რომელიც მის მასის დასტაბილურებს შედეგად, ბოლო 3 წლის განმავლობაში მეცნიერნიმდგომრე ათეული თეორია, რომელიც ცდილობს ჰიგსის მეცნიერების ახსნას. ამასთან ურტებობას 3 ძირითად კატეგორიას ეკუთვნის ი) სუბსტრანტრეული“ თეორიები, რომელია მიხედვით, თითოეული არსებულ ნაწილაკს ჰიგსის (ეურეკრეობით, ექსპერიმენტებისთვის

უზღავს) სუბსტრანტრეული“, რომელია ის ურტული სიმეტრიათა დეკაბრეზული, ი) შედეგილი ჰიგსის“ თეორიები, რომელია მიხედვით ჰიგსის ნაწილაკი არაა ელემენტარული და აქვს ურდემენტრული სტრუქტურა და ი) თეორიები დამატებითი სერეციით განზომილებების, რომელიც ეურტისთვის პრობლეზის კონტრეტული საფუძველი ჩაღვარეს ნიშნ არკანი-მამდგას, საკვას დიმიზიოლისმა და გი დადაშმა 1998 წელს.

ყველა ამ თეორიის ერთი რამ ერთობინებს ისინი უნდა „გამორჩინენ“, მსხავსებას ეფუძნებიან სახით, ჰიგსის მასის რადენ მალე ეწერებზედგებ. ჰიგსის აღმოჩენის შემდეგში, LHC-მ საგარნიზობად მოუშტა ქმრავის, რომელზეც შესაძლებელია ახალი, მიმეცე ნაწილაკების დედამიწაზედგომა. თუმცა უაზრობის ნარსულად, არანაირი მიოთიბა სტანდარტული მოდელის მიზნა ფიზიკის არსებობაზე არ ჩანდა. მეცნიერების გარკვეულმა ნაწილმა მიატოვა ჰიგსის მასის ბუნებრიუ-

ბა“ როგორც ელემენტარული ნაწილაკი განჩენილია საწარტრესი თეორიების თავიდან განაწილებება ახალი პრიციპების მიტების, რომელიც შეძლებს მეცნიერების სწორეზაზე დადგენებას იურარტის პრობლეზის გადასტრეულად აღნიშნული პრობლეზის მიმართ ერთ-ერთი მთავარ აღტრეზანტრულ მოგაობას ნარმადაგენს ვანრეტრის ე.წ. ანთროპული პრინციპი“ - იდეა იმის შესახებ, რომ ჰიგსის მეცნიერ მასა უზრუნველ ბუნებრივი შერევის შედეგია“. ჩვენ ეცობრითბა უაზრევი სამყაროდან იქ. სადაც ჰიგსის მასა მეცნიერ, რადგან ნაწილადად შემოხედავია, არ იარსებებდა ციფლისიკაია, რომელსაც ჰიგსის მასის შესახებ კითხვის დასმა შეუძლებოდა.

საბედროლოდ, არსებობს დიდი შანსი იმისა, რომ ბუნება იმის უფრო წინადადეგ ვიდრე იქნებოდა ამორბული პრინციპის რეალორების შემხიხეული LHC-ს (ჰიგსის აღმოჩენილად 4-წლიანი ძიების შემდეგ, განჩენ ეურეკრეობის მეცნიერ, მაგრამ მანცე მიმხმობას იმანზე, რომ არსებობს ახალი, ჰიგსის მასა-ლეობი 5-ჯერ მისზე ნაწილაკი, მოუხედავად იმისა რომ აღნიშნული ფიგის ბოლომდე დადასტურებულ არაა, სა-  
მეცნიერის სასოკაობისა მის უფლები ეურეკრეობის მიხედვად, რის სასოკოებია განხიხელებლება ახალი ნაწილაკის შესახებ ბოლო 4 თვეში გამტარული 250-მდე სამეცნიერო კატაბოლა. საბოლოო აღმოჩენას შეუძლებდა ექსპერიმენტრების მიერ მოწინავეების შემგაობი დედამიწაზედგომა, რომელიც გვიგის მიხედვით 2016 წლის ივლისში უნდა შესრულდეს.

მოხუცდავად იმისა, თუ რომელი კონკრეტული თეორია აღმოჩენება სა-  
მყარობის რეალდგენით, ფიგის ერთ-  
მანცე ჩვენ ეცობრითბა ფუნდამენტური მეცნიერებისთვის უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდში - სასებთი შესაძლებელია, ახალი სამეცნიერო რეველაციის გარეკრეაქტე!

# ნისლიტყაოსანი?

გიორგი კეკელიძე

სულ მალე ეროვნულ ბიბლიოთეკაში ნიგნის მუზეუმი გაიხსნება, სადაც უნიკალური გამოცემები განთავსდება. ასეთი სივრცეები უნდა გახდეს ხიდი, რომელზეც ქართული კულტურა კიდევ ერთხელ გადავა და ევროპას გააკვირვებს, დაანახებს რომ ის არ მიიღეს, არამედ დაბრუნდა. ამ აზრით, ჩვენ ვეცდებით, წარსულში ჩავეყვინოთ და ყველა არსებული ჰიპოთეზა მოვიძიოთ. განსჯა თქვენი საქმეა.

2008 წელს ქართველოლოგიური კვლევის ცენტრმა ელგუჯა ხინთიბიძის მონოგრაფია „ვეფხისტყაოსანი შექსპირის ეპოქის ინგლისში“ გამოსცა. ამ ტექსტს მოგვიანებით არაერთი კრიტიკოსი და მაქებარი გამოუჩნდა. ცხადია, კითხვის ნიშნები არსებობს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანი უფრო სხვაა. დავძებნოთ ყველა პოტენციური კავშირი. კი ბატონო, იქცეს შემდეგ დისკუსიის საგნად, თუნდაც გაბათილდეს, მაგრამ მაინც. გზები ამგვარ ძიებებში იკვეთება. მოკლედ, ნაშრომის მიხედვით, „ვეფხისტყაოსნის“ საზღვარს გაღმა სამყაროში შეღწევის თარიღმა XIX საუკუნიდან (კიევის მიტროპოლიტ ევგენი ბოლხოვიტინოვის ცნობები) უფრო ადრე — XVII საუკუნის ინგლისში გადაინია, თუ არ ჩავთვლით ფრანც ტუსენის საეჭვო ვარაუდს პოემის ნაწყვეტების არაბულად თარგმნის შესახებ შუა საუკუნეებში.

მე პროფესორ ხინთიბიძის მონოგრაფიის მხოლოდ ერთ ნაწილს, „მეფეს და არა მეფეს“ მიმოვიხილავ და მივყვები:

1611 წელს ინგლისის სამეფო დასს ნება დართეს, დაედგა ფრენსის ბომონტისა და ჯონ ფლეტჩერის პიესა „მეფე და არა მეფე“.

ფრენსის ბომონტი 1584 წელს ინგლისში, საგვარეულო მამულში დაიბადა. 1597 წელს ოქსფორდის პემბროკ-კოლეჯში მოენყო, რომელიც 1600 წელს მიატოვა და იურიდიული განათლება განიზრახა. 1602

წლიდან აქვეყნებს ლექსებს. Mermaid tavern-ის წრეში განთქმულ კომედიოგრაფ ბენ ჯონსონს დაუმეგობრდა. სავარაუდოდ, იქვე გაიცნო ჯონ ფლეტჩერიც. 1607 წელს მათ ერთობლივი ნაწარმოებების შექმნა დაიწყო. ზოგიერთი ცნობით, 1609 წლისთვის სამეფო თეატრის მთავარი დრამატურგის თანამდებობაზე სწორედ ამ წყვილმა შეცვალა უილიამ შექსპირი.

ჯონ ფლეტჩერი 1579 წელს ინგლისში, სასექსის საგრაფოში დაიბადა. Mermaid tavern-ის წრეში ის 1606 წელს გამოჩნდა. თავიდან დამოუკიდებლად თხზავდა პიესებს, მოგვიანებით ფილიპ მესინჯერთან და თვით უილიამ შექსპირთან თანამშრომლობდა.

ფრენსის ბომონტი 1616 წელს ციებას, ჯონ ფლეტჩერი კი 1625 წელს შავი ქირის ეპიდემიას ემსხვერპლა.

ჩემს მიერ ზემოთ ნახსენებ მონოგრაფიაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ „მეფე და არა მეფე“, გარკვეულწილად, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტურ ქარგას ეფუძნება.

თხზულების თანახმად, მოქმედება იბერიაში მიმდინარეობს. კითხვაზე, რომელი იბერიაა მოხსენიებული — პირენეის თუ კავკასიის — ყველა ინგლისელ მკვლევარს ერთმნიშვნელოვანი პასუხი აქვს: ბომონტისა და ფლეტჩერის პიესა, ისევე როგორც ფილიპ სიდნის „არკადია“, საქართველოზე მიუთითებს. ლიტერატურათმცოდნეთა საბუთი მარტივია და ტექსტს ეყრდნობა. პიესაში — „მეფე და არა მეფე“ იბერიის ახალგაზრდა მეფე ამარცხებს მეზობელი ქვეყნის — არმენიის ხელმწიფეს და ტყვედ მიჰყავს იგი. უდავოა, რომ ამ ქვეყნებში საქართველო და სომხეთი იგულისხმება.

მიჩნეულია, რომ ეს ავტორები მშვენივრად იცნობდნენ ბერძნულ და რომაულ წყაროებს იბერიასა და სომხეთზე, იყენებდნენ მათ სამხედრო დაპირისპირებისა და

პერსონაჟთა სახელების თვალსაზრისით. ოლონდ, ფაბულის უშუალო სათავე, როგორც წესი, დღემდე უცნობი რჩება.

მონოგრაფიის თანახმად, ნაწარმოების – „მეფე და არა მეფე“ ძირითადი ქარგა პროვოცირებულია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“. საქმე გვაქვს XVI საუკუნის დასასრულის ევროპულ ლიტერატურულ სტილთან, როდესაც ავტორი ეძებს ფაბულას, ამბავი სხვა ქვეყანაში გადააქვს, ცვლის მოქმედ პირთა სახელებს, სიუჟეტის განვითარების გენერალურ ხაზს, ფინალს და ა.შ.

ბომონტისა და ფლეტჩერის პიესის სივრცული კოორდინატები ანუ კარკასი „ვეფხისტყაოსნისეული“ ინდოეთის ამბებს ემთხვევა.

პიესისეული იბერიის პრინცი არბასესი არ არის მეფისა და დედოფლის ღვიძლი შვილი და მხოლოდ იმ მიზნით აიყვანეს, რომ სამეფოს მემკვიდრე ჰყოლოდა, ხოლო ნამდვილი შვილი (ქალი), სახელად პანთეა, მოგვიანებით შეეძინათ.

არბასესის შვილად აყვანიდან პრინცივსა და დაბადებამდე იმდენივე დრო გადის, რამდენიც ტარიელის შვილად აყვანიდან ნესტანის შობამდე.

„შენ იზრდებოდი,

როგორც მეფის ძე, ვიდრე გახდებოდი ექვსი წლის,

მაშინ მეფე გარდაიცვალა და დამიტოვა მე სამეფოს მზრუნველობა და წინააღმდეგ მისი მოლოდინისა, დატოვა ორსულად ეს დედოფალი,

რა თქმა უნდა, ამ მშვენიერი პრინცესათი“.

*(„მეფე და არა მეფე“)*

შეადარეთ რუსთაველი:

„ხუთისა წლისა შევიქმენ მსგავსი ვარდისა შლილისა“.

ან:

„მე ხუთისა წლისა ვიყავ, დაორსულდა დედოფალი“.

*(„ვეფხისტყაოსანი“)*


იბერიის პრინცი და პრინცესა, ისევე როგორც ტარიელი და ნესტანი, ყრმობაშივე განაცალკევებს. საცნაურია ის ფაქტიც, რომ პრინცს, ტარიელის დარად, პირველი ნახვითანავე აძაბუნებს ემოცია და სიტუაციის არაადეკვატური ხდება.

სიუჟეტის გარკვეული ნაწილი „ვეფხისტყაოსნის“ ქარგისგან განსხვავებულად ვითარდება. ავტორებს იგი ვითარების სწრაფი ცვლილების მანერით კომიზმისკენ მიჰყავთ. თუმცა რუსთაველისეული ინდოეთის მხატვრული სივრციდან შემდგომი რემინისცენციებიც აშკარაა.

მაგალითად, სასიყვარულო პერიპეტეიბში ქალის აქტიური პოზიცია ჩანს, არბასესისა და პანთეას სიყვარულში ფიგურირებს ქალის წერილები. მსგავსება უფრო მძაფრდება ერთ სცენაში: პრინცივსა საქმროს, მეზობელი სამეფოს ახალგაზრდა ხელმწიფეს, არბასესი სწორედ საქორწინლო სამზადისისას ამწყვედევს დილეგში და მიჯნურობაში მეტოქეს ამ გზით ჩამოიშორებს. „ვეფხისტყაოსნის“ ზერელედ გადამკითხველისთვისაც კი იოლად საცნაური გახდება მსგავსი ეპიზოდის გახსენება.

კომპარატივისტიკა ადასტურებს, რომ მოძრავი, ხშირ შემთხვევაში, ცალკეული სიუჟეტური ნაწყვეტებიცაა. ამიტომაც მონოგრაფიაში საუბარი ბომონტისა და ფლეტჩერის იდეურ იმპულსებზე გადადის.

საინტერესოა, რომ „მეფე და არა მეფეს“ ტრაგიზმი სისხლის აღრევის (ინცესტ) ფენომენის ფსიქოლოგიურ დატვირთვაზეა აგებული. უცხოელ მკვლევართათვის ტარიელისა და ნესტანის ურთიერთობა, რომლებიც შვიდ წელიწადს დაძმად იზრდებოდნენ, სწორედ სისხლის აღრევასთან ასოცირდება. ამ „უზერხულ“ მომენტს



■ სიუჟეტის გარკვეული ნაწილი „ვეფხისტყაოსნის“ ქარგისგან განსხვავებულად ვითარდება. ავტორებს იგი ვითარების სწრაფი ცვლილების მანერით კომიზმისკენ მიჰყავთ. თუმცა რუსთაველისეული ინდოეთის მხატვრული სივრციდან შემდგომი რემინისცენციებიც აშკარაა.

ვერც ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი უვლის გვერდს: „როგორც სამართლის, ასევე მორალის თვალსაზრისით, ნესტანისა და ტარიელის სიყვარული და ცოლ-ქმრობა მიუღებელია.“ (ი. სურგულაძე — „ტახტის მემკვიდრეობის საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით“. თბ. 1966 წელი).

უმთავრესი თემა, რომლითაც რუსთაველი შუა საუკუნეების ნორმირებულ მორალს გასცდა, სიყვარული გახლავთ. ადამიანური სამყაროს სიყვარული თითქმის დაცლილია მისტიკური გადაზრების ალეგორიული ელემენტებისგან, რის გამოც, თავის დროზე არაერთი თეოლოგის რისხვაც დაიმსახურა. „მეფე და არა მეფეს“ კრიტიკული ტექსტის გამომცემელი რობერტ ტერნერი მიუთითებდა, რომ: „მისი მორალური სამყარო თითქოს თავისუფალია ქრისტიანული ჰუმანიზმის სტანდარტებისგან“. ბომონტა და ფლეტჩერს სწორედ ამ მოტივით აუშმებდნენ პირველად (თომას რაიმერი), თუმცა ინგლისური კრიტიციზმის დიდმა წარმომადგენელმა, ჯონ დრაიდენმა დაიცვა პიესა და შენიშნა, რომ სიყვარულის გრძნობა ნაწარმოებში უფრო დიდი და მყარია, ვიდრე თვითონ პერსონაჟები.

კიდევ ერთი და მნიშვნელოვანი სპეციფიკა, რომელიც ამ ორ ნაწარმოებს აერთიანებს, არის ქორწინებისკენ, როგორც იდეალური ნორმისკენ, სწრაფვა (ეს ნიშანი განასხვავებს რუსთაველისეულ სიყვარულს არა მხოლოდ ღვთაებრივი, არამედ ალმოსავლური სუფიზმისა და დასავლური კურტუაზული სიყვარულისგან).

აღსანიშნავია, რომ პიესის ზოგიერთ პასაჟში „ვეფხისტყაოსნისადმი“ ნაძალადევი, უფუნქციო მიბაძვა ვლინდება — სატრფოს წერილები, პანთეას ციხეში გამომწყვდევა, არბასესის მიერ მიჯნურის გარდაცვლილად წარმოდგენა, მისი მედიტაცია იმქვეყნიურ სატრფოსთან მიმართებაში:

„ჩემი და! — გარდაიცვალა იგი?

...იგი გარდაიცვალა.

ქალწული, თუმცა ძილზე უფრო უმანკო, ისე ნათელი, როგორც მისი თვალები და მარადიული კურთხევა დაჰყვება თან,

ისედაც იგი არის.

მე ვიცი, მას არ შეეძლო ესურვა, რომ შეეცვალა

თავისი მდგომარეობა ახლით. და თქვენ მნახავთ მე.

როგორ ვატარებთ ჩვენს ჯვრებს კაცისა. ჩვენ ყველანი უნდა მოვკვდეთ.

და მან გვასწავლა,

როგორ უნდა სიკვდილი.“

არბასესის მეგობართაგანი და ამავე დროს ერთ-ერთი სარდალი განცვიფრებით იგონებს გონდაბინდული პრინცის საბრძოლო პერიპეტეებს:

„ის, ვინც ორიოდე დღის წინ იხილა ამ გმირი მოყმის შემართებით შევარდნა შუბების ტყეში და ახლაც უცქერს მას, საკუთარ თვალებს აღარასდროს დაუჯერებს.“

შეადარეთ „ვეფხისტყაოსანი“:

„მუნ მივჰმართე მკლავ-მაგარმან, საღ უფროსი ჯარი დგესა,

კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა“

ან

„შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი“

ნაწარმოების ფინალიც რუსთაველისეული პოემის დასასრულს მოგვაგონებს: სცენიდან საქორწინოდ გამზადებული ორი ბედნიერი წყვილი გადის: იბერიის პრინცად გაზრდილი არბასესი და ნამდვილი პრინცესა პანთეა, სომხეთის მეფე ტიგრანესი და მისი საცოლვე სპაკონია.

მკითხველი იოლად აღიდგენს „ვეფხისტყაოსნის“ ფინალს და აღარ წავეშვლებით.

საინტერესოა, საკუთარი სახელების, კერძოდ კი, „პანთეას“ როლი და წარმომავლობა. როგორც წესი, „მეფე და არა მეფეს“ პერსონაჟთა სახელების შერჩევისას ორი ტენდენციაა შემჩნეული: ავტორები მათ ან იბერიისა და სომხეთის რეალების მისადაგებით, ან რომელიმე საისტორიო წყაროზე დაყრდნობით არჩევენ. სახელი პანთეა ინგლისელმა მეცნიერებმა ქსენეფონტესეული კიროსის სახელმწიფოს სტრუქტურის აღწერებში იპოვეს. პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის ვარაუდი კი

ამგვარია. რუსთველოლოგთათვის ცნობილია, რომ Panther (პანტერა) შოთასეული ვეფხის შესატყვისია. „მეფე და არა მეფეს“ დაწერიდან სამი საუკუნის შემდეგ, სწორედ ასე ითარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ — „The Man in the Panther's Skin“. პოემის ყველა ინგლისურ ენაზე მთარგმნელმა და მათ შორის სამმა ბრიტანელმა (მარჯორი უორდროპი, ქეთრინ ვივიანი, რობერტ სტივენსონი) ვეფხი სწორედ Panther-ად თარგმნა და არა Tiger-ად. ალბათ, სწორედ Panthea შეიძლება იყოს მშვენიერი პრინცესას სახელი, რომელიც ვეფხის სახებად გადააზრებული ნესტანის ისტორიიდან მომდინარეობს.

მონოგრაფიაში გამოთქმულია აზრი ბომონტისა და ფლეტჩერის წრეში ქართული სამყაროს შეღწევის შესახებაც. შენიშნულია, რომ ეს ავტორები ფართოდ იყენებდნენ ესპანურ წყაროებს და, ხშირ შემთხვევაში სიუჟეტს სწორედ იქ დაძებნილ ფაბულაზე აგებდნენ. მოღწეული ცნობების თანახმად კი, საქართველო ევროპული ქვეყნებიდან ყველაზე ადრე ესპანეთთან ინყებს ურთიერთობას (1495 წელს კონსტანტინე მეორის მიერ წარგზავნილი ელჩობა დედოფალ იზაბელასთან და 1984 წელს აღმოჩენილი მეფე ფერდინანდისა და დედოფალ იზაბელას საპასუხო, 1495 წლის ივლისით დათარიღებული, სამწუხაროდ, გაუგზავნილი წერილი, რომელიც დღეს არაგონის სამეფო არქივში ინახება) და საკმაოდ ინტენსიურადაც, რაც, რასაკვირველია, კულტურულ მონაპოვართა გაცვლასაც გულისხმობს (გაიხსენოთ ნიკიფორე ირბაქის ელჩობა ესპანეთის სამეფო კარზე).

მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის სავარაუდო წყაროზე გამოთქმული შეხედულებები (მაგალითად, ნიკო მარის განთქმული ძიებები სპარსულენოვან არქივებში) სამეცნიერო წრეებში მრავალგზის უარყვეს და საკმაოდ არგუმენტირებულადაც — ამ თემაზე დღესაც გრძელდება კამათი. რამდენიმე უცხოელ ქართველოლოგს გაუჩნდა ეჭვი, ხომ არ შეიძლებაოდა ქართულ და ინგლისურ ნა-

წარმოებებს საერთო სიუჟეტური წყარო ჰქონოდა? მონოგრაფიაში ამის საწინააღმდეგო ორი არგუმენტი მოყვანილი — პირველი სახელ პანთეას უკავშირდება (რაზეც უკვე გვქონდა საუბარი), მეორე კი მიუთითებს იმ საყურადღებო ფაქტზე, რომ მოქმედება იბერიის ანუ საქართველოს სამეფო კარზე ხდება. ამით ავტორები მიაწინებენ ამ ამბის საქართველოდან მომდინარეობაზე ან რამე კავშირზე საქართველოსთან, რაზე მითითებაც „ვეფხისტყაოსნის“ სავარაუდო აღმოსავლურ წყაროში შეუძლებელი გახლავთ.

მონოგრაფიის მეორე ნაწილი, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ფლეტჩერისა და ბომონტის ერთ-ერთ ნაწარმოებს, „ფილასტერსაც“ ეხება. ეს პიესა დაახლოებით იმ პერიოდს ეკუთვნის, როცა „მეფე და არა მეფე“ დაიდგა და ორივე მათგანმა, ინგლისელი კრიტიკოსების შენიშვნით, ბრიტანულ ლიტერატურაში რომანტიკულ-ჰეროიკული თემატიკა დააბრუნა.

„ფილასტერში“ შემჩნეულია შექსპირის „ჰამლეტის“ გავლენა, თუმცა ქარგის წყარო არც აქ ჩანს. სპეციალურ კვლევებში მკაფიოადაა მითითებული, რომ ინგლისელი ავტორების ამ ორ პიესას („ფილასტერსა“ და „მეფე და არა მეფეს“) პრინციპული საერთო მახასიათებლები აქვს, რითაც ინგლისური დრამატურგიის მანამდე არსებულ მაგალითებს საგრძნობლად შორდება, მაგალითად: მელოდრამატულობა და „ჰეიფი ენდი“.


კვლევა შეიძლება უამრავ კრიტიკულ კითხვას ბადებდეს, მაგრამ თვითონ ფაქტი, რომ საკითხით არაერთი დასავლელი მეცნიერი დაინტერესდა, ყურადღებას ნამდვილად იმსახურებს. ■



■ თხზულების თანახმად, მოქმედება იბერიაში მიმდინარეობს. კითხვაზე, რომელი იბერიაა მოხსენიებული — პირენეის თუ კავკასიის — ყველა ინგლისელ მკვლევარს ერთმნიშვნელოვანი პასუხი აქვს: ბომონტისა და ფლეტჩერის პიესა, ისევე როგორც ფილიპ სიდნის „არკადია“, საქართველოზე მიუთითებს.

# ორი სამოთხე

## ლევან ბერძენიშვილი



ერთი მხრივ – დანტე ალიგიერი, XIII-XIV საუკუნის პოეტი, მეორე მხრივ ჯონ მილტონი, XVII საუკუნის პოეტი ფანტასტიკურ საქმეს ემსახურებიან – მინის შვილებს სამოთხეს გვასწავლიან. არც დანტე და არც მილტონი სამოთხეს იმის გამო არ გვიხსნიან, რომ ჩვენი დიდი იმედი აქვთ, ფიქრობენ, თითქოს ჭკუაზე მოგვაქცევენ ან მორალური თვალსაზრისით გაგვმწყინდენ.

მათ იციან ამ სამოთხის მნიშვნელობა. დანტემ ეს იცის იმიტომ, რომ მან იცის ჯოჯოხეთის მნიშვნელობა; მილტონმაც იცის სამოთხის მნიშვნელობა იმიტომ, რომ წლების განმავლობაში ბრმავედებოდა და ბრმა კაცის მზერით აშკარად უჭვრეტდა ჯოჯოხეთს.

მოგეხსენებათ, დანტესთან ორი სამოთხეა. ერთი დედამიწაზე გვხვდება, მინიერი სამოთხე, მეორე ცაში – ზეციური. მინიერი სამოთხე ნაწილია სპეციფიკური მთისა, განსაზღვრულია რომ ჰქვია, ან, როგორც კონსტანტინე გამსახურდიამ თარგმნა – სალხინებელი. ესაა მთა, რომელიც იერუსალიმის საპირისპირო მხარეს მდებარეობს, მის მწვერვალზე კი მინიერი სამოთხეა.

ვერგილიუსი უხსნის დანტეს, რომ გზა მთის მწვერვალამდე – ეს არის გზა ბეატრიჩესკენ, ანუ ამქვეყნიური სამოთხისკენ, ხოლო იმისათვის, რომ მწვერვალზე მოხვდეს, ცეცხლის კედლის გავლაა საჭირო.

ვერგილიუსი და სტაციუსი გადიან ამ კედელს, აღმოდებულები მიიწევენ წინ, საღამოვდება და დასასვენებლად ჩერდებიან. დანტე იძინებს, გაღვიძებული კი უკანასკნელი დარიგებითა და

გამხნევებით მიმართავს ვერგილიუსი, მოძღვარი, რომელიც მთელი პოემის განმავლობაში გზას უკვალავდა დანტეს.

მკითხველი დანტესთან ერთად მინიერ სამოთხეში აღმოჩნდება. ესაა ჩიტების ჭიკჭიკით გაყრუებული, აყვავებული ჭალა, სადაც დანტე ხედავს მშვენიერ დონას, რომელიც მღერის, ყვავილებს კრეფს და პოეტს უხსნის, რომ აქ ოქროს საუკუნე დგას, იცავენ უმანკობას, თუმცა ამ ყვავილებსა და ხეხილს შორის ცოდვით დაიღუპა პირველი ადამიანების ბედნიერება.

ამის გამგონე დანტე ნეტარად მოლიმარ ვერგილიუსს და სტაციუსს გახედავს. ო, ევა! ფიქრობს დანტე, როგორ მოსპე ეს სამოთხე შენი საქციელით?!

პოეტი ამბობს – აქ დაცურავს ცოცხალი ცეცხლის ალები, მათ ქვეშ დაიარებიან მხცოვანი, სვეტაკსამოსიანი მართალნი, მორთულნი ვარდითა და შროშანით, ცეკვავენ ზღაპრული მზეთუნახავები, ვერავინ იჯერებს გულს ამ განსაცვიფრებელი სურათის ხილვით...

და, აი, უეცრად, ამ გასაოცარ ხილვაში დანტე ხედავს მას, ვინც უყვარს. გაოგნებული, უნებლიედ იძვრის, ვერგილიუსს სურს მიეკრას, მაგრამ ამ მძიმე მომენტში, ვერგილიუსი – მამა და მხსნელი გაქრა, დანტე მარტო დარჩა ბედისწერის, სიყვარულის, გარდაცვლილი ბეატრიჩეს წინაშე და ატირდა.

„ვერგილიუსი არ დაბრუნდება, დანტე, ეს მე ვარ, ბეატრიჩე, შემომხედე და მითხარი, როგორ მოხვდი აქ?“ –

**■ ბეატრიჩეს სიკვდილიდან ათი წელია გასული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დანტეს ლალატი არ ეპატიება. დანტე პასუხის გაცემას ვერ ბედავს, თავს დაბლა ხრის. ბეატრიჩე პოეტს თვალის გასწორებისკენ მოუწოდებს, რა დროსაც იგი გონებას კარგავს. გამოფხიზლებული დანტე მდინარე ლეთეში აღმოჩნდება.**



ბეატრიჩეს ტონი მკაცრი და მრისხანეა. ამ დროს გაისმის ხმა – „რატომ ხარ ასე მკაცრი ადამიანთან, კაცთან, რომელმაც ცოცხლად გამოაღწია ჯოჯოხეთში, გამოიარა სალხინებელში და შენ სანახავად მოსულა?“

ხმას ბეატრიჩე პასუხობს და სიმკაცრეს იმით ხსნის, რომ დანტემ დანაშაული უნდა აღიაროს, განცხრომის სატყუარამ რომ აცდუნა და უღალატა ბეატრიჩეს.

ბეატრიჩეს სიკვდილიდან ათი წელია გასული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დანტეს ლალატი არ ეპატიება. დანტე პასუხის გაცემას ვერ ბედავს, თავს დაბლა ხრის. ბეატრიჩე პოეტს თვალის გასწორებისკენ მოუწოდებს, რა დროსაც იგი გონებას კარგავს. გამოფხიზლებული დანტე მდინარე ლეთეში აღმოჩნდება.

ჩვენ კარგად ვიცნობთ ჯოჯოხეთის მდინარეებს. საერთოდაც, ჯოჯოხეთის გეოგრაფია გაცილებით უკეთაა ცნობილი, ვიდრე სამოთხისა. ხშირად ხუმრობენ კიდეც, დანტეს ჯოჯოხეთი უკეთ გამოუვიდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დედამიწა, ჩვენი ცხოვრება, ჯოჯოხეთისთვის გაცილებით მეტ სურათს იძლევა, ვიდრე სამოთხისთვის. წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით, ვერავინ ვერ იტყვის, რომ ჯოჯოხეთი, როგორც პოემის ნაწილი, რამით აღემატება სამოთხეს, მით უმეტეს, განსაწმენდლის ფინალურ აკორდს, რომელშიც მიწიერ სამოთხეზეა საუბარი.

აქ, ფანტასტიკური და ზმანებური ამბები ახალ გეოგრაფიას გვასწავლის. ეს არაა მხოლოდ ჭალა, ედემის ბაღი, რომელსაც კაცობრიობის ბავშვობიდან ვიცნობთ. ჯერ ერთი, აქ ვხვდებით ცეცხლის კედელს, შემდეგ კი – ორ მდინარეს. ერთი მდინარე ლეთეა, დავიწყების მდინარე, კარგად ცნობილი ძველი დროიდან; ხოლო მეორე, სრულიად ახალი მდინარეა, რომელსაც დანტე გააჩენს და ამის შემდეგ ეს მდი-

ნარე სამოთხეში გვხვდება. ვისაც არ სჯერა, შეამონმოს.

ლეთეს შემთხვევაში უბრალო დავიწყებაზე არაა საუბარი. დანტეს მიხედვით, შევალთ თუ არა ლეთეში, დავავიწყდება ყველაფერი ცუდი, რაც კი ჩავგიდენია, ჩამოგვშორდება ყველა ცოდვა, მაგრამ განწმენდისათვის ეს არ ყოფილა საკმარისი. დანტეს გენიალობის ერთ-ერთი მაგალითი ამაშიცაა, მის აღმოჩენაში – ცოდვათაგან თავისუფლება არ კმარა იმისათვის, რომ ადამიანი ღმერთის ღირსად შეიქნას, საამისოდ ამ ადამიანის კეთილი საქმეების გახსენებაც საჭიროა.



ადამიანი ფრიად უცნაური არსებაა. მას ავიწყდება არა მხოლოდ ცუდი, არამედ მის მიერ ჩადენილი კარგი საქციელიც. დანტემ დაიჭირა ეს მომენტი, რომ კეთილი საქმეების გახსენებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ისეთივე, როგორც ცოდვების დავიწყებას, ამიტომაც ახალი მდინარე – ევნოე გააჩინა.

ლეთეში ივინყებ ცოდვებს, ევნოეში შესვლისთანავე კი გახსენდება ყველაფერი კარგი, რაც გიკეთებია. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ევნოედან ხელახლა შობილი, სრულიად სპეტაკი გამოდი-

ხარ, მზად ხარ, აფრინდე ცაში და მია-  
ლწიო ვარსკვლავებს.

ესაა მინიერი სამოთხიდან გასვლა,  
რასაც პირდაპირ მოჰყვება გაცილებით  
უფრო რთული ფენომენი – ზეციური  
სამოთხე.

„ღვთაებრივ კომედიაში“ ზეციური  
სამოთხე განსაკუთრებით ვრცლად  
არის აღწერილი, იმიტომ, რომ დანტე  
და ბეატრიჩე მოკვდავი გონებისთვის  
მიუწვდომელი სიმაღლისკენ – მზისკენ  
აფრინდნენ. აქ იწყება ამ უზარმაზარი  
სამყაროს გეოგრაფია: პირველი ცა, მე-  
ორე, მესამე, მეოთხე...

პირველ – მთვარის ცაზე ის ანგე-  
ლოზები არიან, რომელთაც ვალი მოი-  
ხადეს; მეორე – მერკურის ცა არქან-  
გელოზების საწყისია, აქ შეხვდებით  
რეფორმატორებს; მაგალითად იუსტი-  
ნიანეს, ან უდანაშაულოდ დასჯილთ,  
მაგალითად იფიგენიას. მესამე – ვე-  
ნერას ცა, შეყვარებულთა ადგილი;  
მეოთხე კი მზის ცაა, ეს დიდი მეც-  
ნიერების, ბრძენი ადამიანების წრე  
გახლავთ, აქ შეხვდებით მეფე სოლო-  
მონს, თომა აკვინელს და ა.შ. მეხუთე  
ცა – მარსისაა, მეექვსე – იუპიტერის,  
მეშვიდე – სატურნის, მერვე – ვარ-  
სკვლავების, მეცხრე – პირველმოდრა-  
ვი, ე.წ. კრისტალური ცაა, მეთათე ცა  
კი არის ემპირეა, ანთებული ვარდი და  
უბრწყინვალესი მდინარე. ამ მდინარის  
ნაპირებთან ორი ნახევარწრეა – ძვე-  
ლი და ახალი აღთქმის. აქ მკვიდრობენ  
ღვთისმშობელი, ადამი, პეტრე მოცი-  
ქული, მოსე, რაქელი, ბეატრიჩე.

დანტეს აღწერილი სამოთხის მთელი  
ამბავი ის არის, რომ საყვარელი ადა-  
მიანი ღვთისმშობლის გვერდით დას-  
ვა. აი, რა შეუძლიათ პოეტებს, აი, რა  
შეუძლია სიყვარულს, რომელიც ცასა  
და ვარსკვლავებს ამოძრავებს. დანტეს  
სამოთხე სულის მოგზაურობაა უკეთე-  
სისკენ – ანგელოზები, ემპირეა, ბოლოს  
და ბოლოს წმინდა ბერნარდი, თეთრო-  
სანი მოხუცი, რომელიც პოეტის მოძლ-  
ვარი გახდება და დანტეს თავს ქალწულ

მარიამს შეავედრებს. ბოლოს მოხუცმა  
პოეტს ანიშნა ზემოთ აეხედა, სადაც  
დანტემ ნათელ სამებაში ღმერთი მოი-  
ხილა, არ დაბრმავდა და სიყვარულმა  
მისკენ გააქანა, სიყვარულმა, რომელიც  
ამოძრავებს ცას და ვარსკვლავებს. ასე  
ხედავს დანტე სამოთხეს.

რაც შეეხება მილტონს; სამოთხესთან  
დაკავშირებით მან ორი ნაწარმოები  
დანერა. ერთს „დაკარგული სამოთხე“  
ჰქვია, მეორეს – „დაბრუნებული სამო-  
თხე“. პირდაპირ უნდა ვთქვათ, „დაკარ-  
გული სამოთხე“ მნიშვნელობითა და  
მხატვრული დონით ბევრად აღემატება  
მეორე ნაწარმოებს. გარკვეულწილად,  
ეს ბედის ირონიაა, როგორც ჩანს, და-  
ბრუნებული სამოთხე მხოლოდ დანტეს  
შეუძლია დაინახოს...

მილტონი საკმაოდ წარმატებულ  
ოჯახში დაიბადა. კარგი განათლება  
მიიღო – ჯერ სახლში, შემდეგ წმინ-  
და პავლეს სკოლაში, ბოლოს კი კემ-  
ბრიჯის უნივერსიტეტში. სიჭაბუკიდან  
ჭარმაგობაში გადასვლის დროს ლონ-  
დონში დასახლებულმა ძმისშვილები-  
სა და დისშვილების აღზრდას მიჰყო  
ხელი. ამ თემაზე დანერა ტრაქტატი –  
აღზრდის შესახებ. შემდეგ დაქორწინ-  
და და მისი უპრობლემო ცხოვრება  
ჭეშმარიტ ჯოჯოხეთად იქცა.

საერთოდ, ხუმრობენ კიდევ, ცოლმა  
რომ მიატოვა, მაშინ დანერა „დაბრუ-  
ნებული სამოთხე“. რა თქმა უნდა, ეს  
ხუმრობა სიმართლეს არ შეესაბამება.  
ჯონ მილტონი 1652 წლის თებერვალ-  
ში დაბრმავდა და დანერა „დაკარგუ-  
ლი სამოთხე“, ქრისტიანული ეპოპეა  
ღმერთისგან გამდგარი ანგელოზებისა  
და ადამიანის დაცემის შესახებ.

ჰომეროსის ჰეროიკული ეპოპეე-  
ბისგან ან დანტესგან განსხვავებით,  
„დაკარგული სამოთხე“ ფანტაზიის  
საკბილოს არ იძლევა. მილტონი პური-  
ტანი მწერალია. მან აირჩია ბიბლიური  
სიუჟეტი და გადმოსცა თავისი სიტყვე-  
ბით. გარდა ამისა, პოემის თითოეული  
მოქმედი პირი ზეადამიანის სახეობას

■ „დაკარგული სამოთ-  
ხის“ პირველ სიმღერაში  
ვხედავთ დამარცხე-  
ბულ სატანას, რომე-  
ლიც თავისი დაცემით  
ბედნიერია და აშენებს  
პანდემონიუმს, საიდა-  
ნაც დემონებთან ერთად  
მრისხანედ ემუქრება  
ზეცას. პოემა, ძირითა-  
დად, სატანის დამარცხე-  
ბასა და ადამიანთათვის  
სამოთხის დაკარგვაზეა.

წარმოადგენს და არ უშვებს არანაირ რეალიზმს. ერთი მხრივ არიან ანგელოზები და დემონები, ადამი და ევა და სხვა მოქმედი პირები, მეორე მხრივ, აქ გვხვდება ღრმად ნაციონალური ტრადიცია, რომელსაც პოეტი არ ლაღატობს. პოემაში ძალზე ცოცხალი მხატვრული სახეები, ბიბლიური არსებები კი მხოლოდ და მხოლოდ როგორც ალეგორიები, ისე ჩნდებიან.

ამ ყველაფრის მიუხედავად, „დაკარგულ სამოთხეს“ ვეებერთელა მნიშვნელობა აქვს – აქ ვხედავთ ზეცისა და ჯოჯოხეთის ბრძოლის ფსიქოლოგიურ სურათს. პოლიტიკური ვნებები, მილტონს რომ აწუხებდა (მოგვხსენებთ, პოეტი სიტყვის თავისუფლების, ცენზურის წინააღმდეგ ბრძოლის ფლაგმანი იყო), დაეხმარა შეექმნა სატანის გრანდიოზული პორტრეტი. მილტონის სატანა თავისუფლებისკენ საშინლად არის მიდრეკილი და სწორედ ამ სწრაფვას მიჰყავს ბოროტებამდე.

„დაკარგული სამოთხის“ პირველ სიმღერაში ვხედავთ დამარცხებულ სატანას, რომელიც თავისი დაცემით ბედნიერია და აშენებს პანდემონიუმს, საიდანაც დემონებთან ერთად მრისხანედ ემუქრება ზეცას. პოემაც, ძირითადად, სატანის დამარცხებასა და ადამიანთათვის სამოთხის დაკარგვაზეა.

საბოლოო ჯამში, დანტეცა და მილტონიც ერთ წარმოსახვით არეალზე – სამოთხეზე წერენ, ოღონდ ორი სხვადასხვა კუთხით. ერთისთვის მიწიერი სამოთხე ის ადგილია, რომელიც ზეცაში ასვლამდე უნდა განვლო; მეორისთვის მიწიერ სამოთხეზე უნდა იდარდო, ვინაიდან მას ველარასოდეს დაუბრუნდება. მილტონის მიხედვით, ამალლების არავითარი შანსი აღარ გვრჩება. დანტე ოპტიმისტია, მიუხედავად ჯოჯოხეთის საშინელი და პირქუში სურათებისა. მილტონი, რა თქმა უნდა, პესიმისტი ავტორია, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით დიდი მებრძოლი იყო.

დანტე და მილტონი, სამოთხე და სამოთხე ის მაღალი წერტილებია, საიდანაც ჩანს, თუ რა პატარები ვართ ჩვენ, ადამიანები და რა გრანდიოზული სამყარო გველოდება, სამყარო, რომელიც ზრუნავს, რომ უკეთესები ვიყოთ. ბოლოს და ბოლოს, მილტონის „დაკარგული სამოთხის“ წაკითხვისას მკითხველი იმასაც მიხვდება, თუ რა კოსმიური მანძილი გაიარა სატანამ, რომ ჩვენ აღმოვეჩინეთ და ვეცდუნებინეთ; რა უზარმაზარი ძალისხმევა დახარჯა უფალმა მასთან ბრძოლაში და ჩვენ, პატარა ადამიანებს გვიჩნდება ამ დიდებულების განცდა!

სამოთხე დანტესთან სიყვარულია, გრძნობა, რომელიც სამყაროს ატრიალებს, მილტონთან კი – სიყვარული, რომელიც ამარცხებს ბოროტებას. ■





სურს სპექტაკლიდან „შექსპირი, სივარული“

## ცეკვა თუ სიტყვა? საკითხავი აი, ეს არის

შექსპირის გარდაცვალების 400 წლისთავი რუსთაველის თეატრში უსიტყვოდ, მაგრამ ცეკვით აღინიშნეს

დავით ბუხნიკიძე

ვად, მხოლოდ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში წარმოდგენილი სპექტაკლი აღინიშნეს.

მარამ ალექსიძის დახლოებით 75-წლიანი ქორეოგრაფიული ფანტაზია სახელწოდებით – „შექსპირი. სივარული“ უფრო დამანტრავებელ კითხვებს აღძრავს თანამედროვე ქორეო-ანაბნით მოკრძალებული შექსპირული სუვერეტების შესახებ, რომელთა ანარქიული იმპროვიზებული არის გაბნეული მილიანად წარმოდგენაში. და მაინც, ყველაზე აქტუალურია ყოფნა-არყოფნის საკითხი, რომელიც კონკრეტულად ამ შემთხვევაში ასე შეიძლება ჩამოყვავილობით – ცეკვა თუ სიტყვა? საკითხავი აი, ეს არის.

უსიტყვო, ქორეოგრაფიული შექსპირში უწყველი და განსაკუთრებული არც არაფერი იცნობოდა, რომ არც ერთი მნიშვნელოვანი დეტალი წლების განმავლობაში რუსთაველის თეატრის მწყემს-მთავარი, რობერტ სტურუა მთელ მსოფლიოში სწორედ შექსპირის ინტერპრეტაციებით არის ცნობილი – „ჰამლეტი“ და „რომარდ შესამით“ დაწყებული, „მეთორმეტე ღამითა“ და „ქარიშხლით“ დამთავრებული.

შექსპირის ობიექსთან დაკავშირებით ბუნებრივია, მაცურებელი ისევე სტურუსსულ თეატრალური იონს ელოდა, თუმცა რეჟისორმა ამჯერად უარი თქვა ლამის ყველაზე საკრალურზე – შექსპირის ინტერპრეტაციაზე (სავთვალთო, რომ გასულ წელს მის მიერ დადგმული „ოულოს კეისარი“ რუსთაველის თეატრში იყო სწორედ „მართი ძეგლი დიდებისა“) და თეატრის სფეროში მარამ ალექსიძის დაუთმო. თავად კი მხოლოდ ახალი სპექტაკლის ლიბრეტოთი და იდუის ატეკრობით შემოიფარგლა.

მოკლედ შევხებით შექსპირს, მა გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდთან ერთად გადანიჭვითა, შექსპირის საიუბილეო თარიღს ორიგინალურად გამოიმართებოდა და მითი კლასიკის დრამატურგის შესახებ ახლებური ინტერპრეტაცია და თეატრალური ფორმით წარმოქმნა.

„შექსპირი. სივარული“ თავს უყრის დრამატურგის ყველაზე ცნობილ, თეატრისთვის ლამის გადაუცილებელი თემებისა და პიესების ფრაგმენტებს, რომლებსაც სცენაზე გიგანტური სკეინიდან ამომძვინკალი პერსონაჟები აცოცხლებენ. რუსთაველის თეატრის ახალგაზრდა თაობის მსახიობები – ლელა ხახაბია, ნათია კვამლი, ნინო მაყაშიელი, რუსუდან მაყაშიელი, გაგი სვანიძე, ქეთი სვანიძე, ზეკა სონღულაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, გეგა ჩხაიძე, ქეთი ზიტონი და ლანა ჯუხარაშვილი მარამ ალექსიძის სადა, უბრალო, მაგრამ გამოშახველ ქორეოგრაფიას დრამატულ მულეაზრებს სძენენ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ორი გამორჩეული გმირი – ლელა ალიბეგაშვილის მიერ განასახიერებელი თავად შექსპირი თუ მედიუმები და გიორგი ალექსიძის სახელობის თბილისის თანამედროვე ბალეტის სოლისტის, ნათია ბუნტურის მიერ განასახიერებელი ზევისწერა. ეს უკანასკნელი სპექტაკლის ერთადერთი ნუბრესიონალი მოცეკვავე და ნებისმიერ შემთხვევაში გამორჩევა დრამატულად გამოჩვენდება, მაგრამ მინც ოდნავ შემსუფთვლებული პლასტიკური შესახველობების მქონე მსახიობთა გვერდით. ამის მიუხედავად, ბალეტის დრამატულ თხრობასა და ქორეოგრაფიულ საწყის შირის შენარჩუნებულა.

სხვათა შორის, „შექსპირში“ მო-

ნაწილზე მსახიობთა უმრავლესობის ხელ-ფეხგარჯილობა და პლასტიკური მონაცემები მაყურებელმა ჯერ კიდევ შარშან, თანამედროვე ცეკვის პროექტში სახელწოდებით „ჰარიონა“ შეაფასა. სხვათა შორის, მარიამ ალექსიძემ ეს ბალეტი ასევე რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე დადგა.

მარიამ ალექსიძე: „ეს წარმოდგენა ჩემს მიერ აქამდე დადგმულ ყველა სპექტაკლზე მეტად თამამი და სარისკო იყო. საქართველოში


მსახიობის – ჯონ გილგუდისა და ალან რიკმანის მონაწილეობით. ეს ერთგვარ გაუცხოებასთან ერთად, ავთენტურობის გარკვეულ ხიბლსაც სძენს წარმოდგენას; თუმცა ჯობდა სონეტები შინაარსობრივად უფრო გასაგები ყოფილიყო და შესაბამისად, ქართველ მსახიობებს ქართულ ენაზე ჩაენერათ.

მოცარტისა და ჯონ კეიჯის ნაწარმოებები განსაზღვრავს არა მხოლოდ წარმოდგენის ტემპორიტმს, არამედ დღევანდელობასთან ხი-

ცობა რამ გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდის შესახებ: ქორეოგრაფ მარიამ ალექსიძის ბაბუა ცნობილი რეჟისორი დიმიტრი (დოდო) ალექსიძე იყო. მამა ასევე ცნობილი ქორეოგრაფი – გოგი ალექსიძე. დედამ, ქალბატონმა მარინა ალექსიძემ თავის დროზე მოცეკვავის კარიერას ქორეოგრაფია ამჯობინა. 2011 წელს მარინა, ნინო, დიმიტრი, ირინე, ანა ალექსიძეებთან ერთად მარიამ ალექსიძემ „გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდი“ დააფუძნა. სწორედ ამ ფონდმა განახორციელა ბოლო წლების განმავლობაში სპექტაკლები: „აჭარპანი“, „ალფა“, „ჰარიონა“, „გურჯი ხათუნი“.

„შექსპირი. სიყვარული“ უკვე ფონდის მეხუთე წარმოდგენაა, რომელშიც მარიამ ალექსიძე განაგრძობს თანამედროვე ქორეოგრაფიის გამომსახველი ფორმებისა და საშუალებების ძიებას. ასევე ძიებას ფოლკლორისა და თანამედროვე ქორეოგრაფიის თემაზე. ქართული ბალეტის ფოლკლორულ ტრადიციას თავის დროზე ვახტანგ ჭაბუკიანიჩა ჩაუყარა საფუძველი („მთების გული“, „გორდა“) შემდეგ ის გიორგი ალექსიძემ განაგრძო და დღეს უკვე ტრადიციად ჩამოყალიბებული ისტორიის ახალი შემკვიდრე მარიამ ალექსიძეა.

ფონდის მიზანია გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნება, მომავალი თაობებისათვის მისი გაზიარება და ფონდის პოპულარიზაცია; საქართველოში თანამედროვე ბალეტის განვითარება და პოპულარიზაცია; ისეთი ახალი პროექტების განხორციელება, რომლებიც მოქმედ ქორეოგრაფებსა და შემსრულებლებს შესაძლებლობების წარმოჩენაში შეუწყობს ხელს.



ფოტო: მია შივაბოძენი

სცენა სპექტაკლიდან „შექსპირი. სიყვარული“

შექსპირის დადგმის მდიდარი ტრადიცია არსებობს: დრამატული სპექტაკლები, ბალეტები, ოპერები... სპექტაკლში „შექსპირი. სიყვარული“ გაერთიანდა თეატრი, ცეკვა, მუსიკა და პოეზია. ჩემი მცდელობა და მისწრაფება იყო, რომ კონკრეტული განცდები და სულიერი მდგომარეობა აბსტრაქტულ ფორმაში მომექცია და შექსპირის შემოქმედებისგან განცილები ქორეოგრაფიული ალუზიები სხეულით გამოემეხატა.“

სპექტაკლში გამოყენებულია შექსპირის სონეტების აუდიოჩანაწერი. ორი დიდი ბრიტანელი

ლულ კავშირსაც. პიანისტი ნინო ჟვანია ამერიკული ავანგარდული და ელექტრონული მუსიკის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის, ჯონ კეიჯის საფორტეპიანო კომპოზიციებს ცოცხლად ასრულებს, ხოლო მოცარტის საფორტეპიანო კონცერტებისა და სიმფონიების ფრაგმენტები ჩანაწერით სრულდება. სპექტაკლის მხატვრობა, სცენოგრაფია და კოსტიუმები ანა ნინუას ეკუთვნის. პროექტის მხარდამჭერია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ქალაქ თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრი.

# არაჩვეულებრივი ჩვეულებრივი

გიო ახვლედიანი



ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ წლის საუკეთესო ფეხბურთელად ლესტერელი რიად მაჰრეზი დაასახელა, ტექნიკური და სწრაფი ფეხბურთელი, რომელმაც წელს უკვე გაიტანა თექვსმეტი გოლი და დაახლოებით ერთი ამდენი თანაგუნდელებს გაატანინა.

სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის ნოდება იმითაა საპატიო და სასიხარულო, რომ მას თავად ფეხბურთელები ანიჭებენ კოლეგას. წლეულს კი პრემიერლიგის მოთამაშეები ისედაც ბევრს აქებენ ლესტერელ ფეხბურთელებს.

საერთოდ კი, თითქოს განწყობა ასეთია, რომ აგერ მერამდენე თვეა, ცხრილის სათავეში მოქცეულ პატარა ლესტერ სიტის

ძალიან ბევრი ფეხბურთელი ქომაგობს. ალბათ გასაგებია, ლესტერი ახლა სწორედ ფეხბურთის იმ ძველ გულსთქმას განასახიერებს, რომლის მიხედვითაც, ამ თამაშში დიდი გამარჯვების მიღწევა ყველას შეუძლია.

ლესტერი ამას ისეთ ლიგაში აკეთებს სადაც მდიდრები, შეძლებულები და ხელმოკლენი კარგა ხანია, გაიყვნენ. მდიდრები მაღლა არიან, შეძლებულები მათ უკან ჩასაფრებულან და ცდილობენ, არ ამოასუნთქონ, ხელმოკლენი კი ცდილობენ, რაც აქვთ, იმით იომონ და თავი ეჭიროთ. ხელმოკლეობა, რა თქმა უნდა, უირობითია. უფრო ჯიბის სიფართოვის ამბავია.

მაგრამ აი, დადგა სეზონები და მიდიდა-

■ ახლა ამბობენ, რომ კიდევ კარგი მაჰრეზი ბიჭობაში აკადემიაში ვერ მოხვდაო. ფრანგულ აკადემიებში მკაცრი დისციპლინა და ერთიანი წესებია. იქ ბევრი ტექნიკური ბიჭი ფუჭდება, რადგან მზადება სტანდარტულია და მოზარდს ხშირად უწევს თამაშის იმ სტილზე უარის თქმა, რომელიც ბუნებრივია მისთვის და რომლისკენაც გული მიუწევს.

რი გუნდები აირიენენ. ფულიც დახარჯეს, მწვრთნელებიც ცვალებს, მაგრამ მინდორზე წელში ვერ გაიმართნენ. შეძლებულემა დრო იხელთეს და ცხრილს მთელი ძალით აანგნენ მაღლა. ამათ შორის წლეულს ტოტენჰემი გამოიკვეთა, რომელიც ორმოცდათხუთმეტი წელიწადია, ჩემპიონი აღარ ყოფილა. მაგრამ სწორედ აქ, ფეხბურთის დემოკრატიულობის მიძინებული პრინციპის მოულოდნელი სიფხიზლით საიდანაღაც გამოძვრა ლესტერი, კენწეროში მოექცა და, ძვრაც ვეღარავინ უყო.

ამ გუნდს არ ჰყავდა ვარსკვლავები, არც ჩამოწერილი, არც არსებული. ვინც ახლა ხდება ვარსკვლავი, საოცარი სეზონის წყალობით, ისიც კაი ხნისაა.

მაჰრეზიც ამათ შორისაა.

მას პროფესიული ფეხბურთი საფრანგეთის დაბალ დივიზიონებში აქვს ნათამაშევი და ფრთები ლესტერშიდა გაშალა. ოცდახუთი წლისას, კარგა ხანია, ალჟირის ნაკრებშიც ინვევენ, თუმცა თვითონ საფრანგეთშია დაბადებულიც და ფეხბურთელობაც იქ ისწავლა, პარიზიდან ჩრდილოეთით მდებარე სარსელში, სადაც მაშრიყული ემიგრანტული მოსახლეობის პატარა ბიჭებს ფეხბურთისკენ ხშირად მიუწევთ გული.

ისევე როგორც ლესტერის სხვა ფეხბურთელები, მაჰრეზიც გამორჩეულზე გამორჩეული ახლავს გახდა. მანამდე ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი იყო.

მშობლიური ქალაქის პატარათ და მიზარფთა გუნდებში მას ვერავინ ამჩნევდა. დაბალია, ბურთს გაუთავებლად ათრევს და ტაქტიკური ალღო არ გააჩნიაო. ქალაქში ჩამოსული ნაირგვარი აკადემიების სკაუტები მას ვერც კი ამჩნევდნენ.

მერე, ასე თუ ისე, აენყო, მოიზარდა, მოღონიერდა და თუმცა ვარსკვლავური მაინც არაფერი ეტყობოდა, ძველი, მაგრამ პატარა კლუბი კარგ ქალაქ ჰავრში, სადაც ოდესღაც ჩვენი გია გურულიც თამაშობდა, მაინც ერგო. მერე იყო უილბლო გასინჯვა შოტლანდიაში და ასე შემდეგ. ლესტერში მოხვედრა მისთვის დიდ ნახ-

ტომი იყო, თუმცა არც ის იდგა პირველი რიგებში. სამაგიეროდ, ხელფასითა და დანახულობით ჰავრს უსწრებდა.

მაჰრეზი მალე გახდა გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, მოუსვენარი და მოუღლეელი ტექნიკური ფეხბურთელი, მეგოლეცა და გამთამაშებელიც, რომელიც მაყურებელმა შეიყვარა. მაყურებლის სიყვარული სხვაგანაც და ინგლისში კი რაღაც თავისებურად ბევრს ნიშანვს. განსაკუთრებით ძველ, პატარა კლუბებში, სადაც გასტროლიორი ხარ თუ შინაური, მალევე ხვდებიან.

ახლა ამბობენ, რომ კიდევ კარგი მაჰრეზი ბიჭობაში აკადემიაში ვერ მოხვდაო. ფრანგულ აკადემიებში მკაცრი დისციპლინა და ერთიანი წესებია. იქ ბევრი ტექნიკური ბიჭი ფუჭდება, რადგან მზადება სტანდარტულია და მოზარდს ხშირად უწევს თამაშის იმ სტილზე უარის თქმა, რომელიც ბუნებრივია მისთვის და რომლისკენაც გული მიუწევს.

მისი სიჭაბუკის დროინდელი მწვრთნელები ახლავს ამბობდნენ, ინგლისში რომ მოდიოდა, ვიძახდით, რიადი მესი გახდებო. ცოტა არ იყოს, სიყვარულითაა ნათქვამი. ადრე დაიბლებული ბიჭის უფრო ფართო გზაზე შედგომა, ალბათ, ყველას გაუხარდა. თანაც, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ეს უზრალოდ, სხვა საფეხბურთო ბეღია. კარლეს რემაკი რომ მესის მამას ეხვეწებოდა, ეს მეხუთეკლასელი ბარსელონაში უნდა წავიყვანოო, იმ ასაკის მაჰრეზი უბნის გუნდის ძირითადში ვერ ხვდებოდა, დაბალია, პატარაა და მატაობსო. მოკლედ, მასშტაბებს ვერ შევადარებთ, მაგრამ რიად მაჰრეზი გახდა ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელი, რაც დიდი პატივია. გუნდი, რომელშიც ის თამაშობს, ინგლისის ჩემპიონია.

ასეც და ისეც წინ დიდი საფეხბურთო ცხოვრებაა. მით უმეტეს, რომ ლესტერ სიტში თითქოს სულ ასეთებს მოუყრიათ თავი, იმათ, რომელთაც შეუძლიათ, დაამტკიცონ, რომ სტანდარტიზებული გენიოსები ძალიან მოსაწყენად საცქერნი არიან. □




საერთაშორისო  
საინფორმაციო

ახალი ამბები 1/5

- ახალი ამბები საპარლამენტო კომიტეტი
- ახალი ამბები საპარლამენტო კომიტეტი
- ახალი ამბები საპარლამენტო კომიტეტი
- ახალი ამბები საპარლამენტო კომიტეტი

ჩვენ გირჩევთ



შემოგვიერთდი განახლებულ  
[www.liberali.ge\\_ზე](http://www.liberali.ge_ზე)



ოციალური ინჟინერია  
ზრეთში და RMG-ის  
ინააღმდეგ პროფკავშირების  
იერ მოგებული სასამართლო  
როცესი

როველის  
გართულებული  
არიტმეტიკა

The Eco  
ეკოლოგია  
თავმესა  
მაძიებენ  
მიგრანტ  
რამდენ  
ლტოლ



ნ. 103 / 31



[WWW.LIBERALI.GE](http://WWW.LIBERALI.GE)

---

მომხმარებელი

twitter 

<http://twitter.com/LiberaliMagazine>



მომხმარებელი

Facebook

<http://facebook.com/LiberaliMagazine>

გამომცემელი

You Tube 

<http://youtube.com/LiberaliMagazine>